ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტიელი

სპორტული გაზეთი — გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან — სამშაბათი, 16 სექტემბერი — 1997 №111 (476) — ფასი 40 თეთრი

იფეთქებს დინამო?

დღეს ჩვენი ჩემპიონი ჩერნობილიდან 50 კილომეტრში უეფას თასის პირველ მატჩს გაშართავს მპკც-სთან

ქართული წესი არც ამჯერად დარღვეულა — თბილისის „დინამოს“ გომელში ჩაფრენა ერთი საათით დაუგვიანდა და მოზირის სტადიონს სავარჯიშოდ იქაური დროით ოთხი საათის მაგივრად ხუთზე მიაკითხა. მანამდე კი, სასტუმრო „პრიპეტში“ დაბინავებისას, ჩვენმა ბელარუსმა კოლეგებმა აღმოაჩინეს, რომ 18-ის ნაცვლად „დინამოს“ 17 ფეხბურთელი ჩაუყვანია, თბილისში დატოვებულის ვინაობის დადგენას კი ორ საათამდე დასჭირვებია და გარკვეულა, რომ ჩვენებს გოგობერიშვილი აკლდათ, თან, თურმე, „მძიმე ტრავმის გამო“. არადა, წინა დღით გუნდის ექიმს ამის შესახებ ჩვენთვის არაფერი უთქვამს.

ისე, ჩვენებურთა ჟურნალისტებთან „ენაწყლიანობა“ კარგად მოგეხსენებათ. ეს გუშინ ბელარუსმა ჟურნალისტებმაც იწვნიეს, როცა ყიფიანს ორი სიტყვა ვერ დააცდევინეს. ერთადერთი კაცი, ვისთანაც „დინამოს“ მთავარ მწვრთნელს უსაუბრია, მეტოქის ამავე თანამდებობის ალექსანდრ ბუბნოვი ყოფილა. ამათი მისალმება ჩვენმა კოლეგებმა დიქტოფონზეც კი ჩაიწერეს:

— პრივეტ, კიპო!

— ჰა, ბუბა!

და მერე გადახვევა, გადაკოცნა და მოკითხვა. ვარჯიშის მერეც ყიფიანი ოდენ ბუბნოვს დამშვიდობებია.

ვარჯიში კი „დინამოს“ ერთსაათიანი გაუმართავს. როგორც შევიტყვეთ, ყიფიანი სათამაშო მინდვრის ხარისხით ერთობ კმაყოფილი დარჩენილა. გასაკვირი არცაა — მოზირის სტადიონის მინდორი ბელარუსში საუკეთესო ყოფილა, აი, თავად სტადიონი კი უეფას ინსპექციას მხოლოდ საკვალიფიკაციო ეტაპის მასპინძლობის ღირსად უცვნია. მაგრამ ახლა ხომ უკვე მესამე წრეა? როგორც იქაურმა სპეციალისტებმა გვითხრეს, მოზირელებს „არსენალი“ ან ვინმე ცივილიზებული ქვეყნის გუნდი რომ შეხვედროდა, მპკც მშობლიურ სტადიონზე ვეღარ ითამაშებდა, მაგრამ რადგან მათი მეტოქე საქართველოს გუნდია, ჩათვალეს, რომ მეტი პიროობები ამათი მატჩისთვის საჭირო აღარაა...

თავად მპკც კი მოზირიდან 20 კილომეტრის დაშორებით მდებარე სანატორიუმ „სოსნიში“ დაბანაკებულა და იქ ემზადება დღევანდელი მატჩისთვის. სხვა საინტერესო ამბები ასეთია: შეხვედრას ჩრდილოირლანდიელ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება, უეფას კომისარი კი რუსი ანატოლი რადიონოვია; „დინამოს“ ვარჯიშს 70-მდე იქაური გულშემატკივარი დასწრებია, გუშინ საღამოსთვის კი დღევანდელი მატჩის 4 ათასი ბილეთი ყოფილა გაყიდული. შედარებისთვის — ჩემპიონთა თასის მატჩს ბერძნულ „ოლიმპიაკოსთან“ 8 ათასი მაყურებელი ჰყავდა, დღეისთვის კი ათი ათასს ელიან.

და ბოლოს, მთავარი: დღევანდელი მატჩი მოზირის მპკც-სა და თბილისის „დინამოს“ შორის ჩვენი დროით 18 საათზე დაიწყება.

ძუკუ საუკეთესოა

ისრაელის პირველობა ქართველი გულშემატკივრებისთვის მეტად საინტერესო გახდა. ახალი ჩემპიონატის დასაწყისში აღთქმულ მიწაზე ბევრი ჩვენებური გადადარგდა, მაგრამ გიორგი დარასელიას დარი პატივი ჯერჯერობით არავის რგებია. ძუკუ მხრებით ათრევს თელ-ავივის „ჰაპოელს“ და თუ თავად არ ახეირა კლუბი, თანაგუნდელები დიდს ვერაფერს ახერხებენ. შაბათს „ჰაპოელმა“ ერთი ქულა სწორედ გიორგის გოლის წყალობით გადაარჩინა. ჩვენებური მთელი თამაშის მანძილზე აქტიურობდა. ბევრი ხელსაყრელი მომენტი შეუქმნა თავდამსხმელებს, მაგრამ მათ მეკარეს ვერ ააცილეს და ბოლოს, 85-ე წუთზე, გიორგის წამოწყებული მისივე დასაგვირგვინებელი შეიქნა.

დარასელიას პატივი არც მანამდე აკლდა, მაგრამ „ბნეი იეგუდასთან“ ნათამაშევი 1:1-ის შემდეგ გამოცხადდა, რომ ძუკუ გასული თვის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ჟურნალისტებიც ხშირად აწუხებენ და ამიტომ გიორგიმ მასწავლებელი აიყვანა, რათა იქაური ენა სწრაფად ათვისოს. მოკლედ, ძუკუ საუკეთესოა.

დარასელია არც დავით ყიფიანს ავიწყდება და გიორგი სამოლდოვო შეკრებაზეც გამოიძახა.

ფეხბურთი

ესპანეთის ჩემპიონატი. III ტურის ბოლო მატჩი. მალიორკა — სპორტინგი 6:2

6 ტური

ლოკომოტივი	0:0 ხიონი
სამგურალი	1:1 ბათუმი
მეტალურგი	2:1 მაღაროელი
გურია	1:1 თსუ
დილა	1:1 ტორპედო
მარგვეთი	0:4 მერანი

დღეს

მორკინალი - კოლხეთი

თსუ	6	5	1	0	13:6	16
ოდიში	5	4	1	0	10:1	13
დინამო	4	4	0	0	17:3	12
კოლხეთი	5	3	1	1	13:5	10
მერანი	6	3	1	2	12:7	10
დილა	6	3	1	2	6:7	10
ბათუმი	6	2	3	1	9:5	9
ტორპედო	6	2	3	1	11:10	9
მორკინალი	5	1	3	1	6:5	6
მეტალურგი	5	2	0	3	4:6	6
სამგურალი	6	1	2	3	8:14	5
მარგვეთი	6	1	1	4	7:16	4
გურია	6	0	3	3	3:11	3
მაღაროელი	6	1	0	5	6:19	3
ლოკომოტივი	6	0	2	4	4:13	2
სიონი	6	1	2	3	8:9	0

მარჯი ჯიმილაძის ფოტო

გუშინ გორში. „დილა“ — „ტორპედო“: ტორპედოელი ლევან ქებაძე ვაჟა თარხნიშვილსა (ძირს) და ვახტანგ აკოფიანს გაურბის

მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მეორე გვერდზე

ლანჩხუთი

„ვეგრაფი შვკარდნაძე“ 15 სექტემბერი

გურია 1:1 თსუ

გურია: გოგუა, ლურნკაია, კვეკვესკირი, კუკულაძე, ჯაშიაშვილი (ლორია 86), თიბილაშვილი, ქიქავა, განევი, ჩხეტია, ბერიძე (გ. ქელიძე 72), ბულუხია

თსუ: დოლიძე, ყოლბაია, ვერემეუკი, კობიაშვილი, კანკავა, შალამბერიძე, შ. ჩომახიძე (კობესაშვილი 88), გაგუა (ბახტაძე 46), რუსია, მელქაძე, ქორიძე (როსტიაშვილი 68)

1:0 ჩხეტია (13), 1:1 რუსია (70)

გაფრთხილებები: ჯაშიაშვილი, ბულუხია, რუსია

მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

იუზა კაციტაძე ლანჩხუთიდან

ღმერთმა ყველას შეაძლებინოს, მაგრამ ბევრ სხვა გუნდთან შედარებით თსუ რომ პრივილეგიურ მდგომარეობაშია, მტკიცება არ უნდა. სტუდენტები დასავლეთისკენ მატჩის წინა დღეს გამომგზავრნენ. ჯერ იმერეთში შეჩერდნენ, წყალტუბოში თავიანთი მომავალი მეტოქეები „სამგურალი“ და „ბათუმი“ დაზვერეს. საღამოს წყალტუბოშივე, ერთ-ერთ სანატორიუმში მოისვენეს. მეორე დილით მსუბუქად წაივარჯიშეს და ნაშუადღევს, რაღაც საათნახევარში, უკვე ლანჩხუთში იყვნენ.

თსუ-ს ამ ტურამდე ასპროცენტიანი შედეგი ჰქონდა. ორ შინაურ მოგებას რომ თავი დავანებოთ, გუნდმა ფოთი, რუსთავი და ჭიათურა მოიარა ბარაქიანად და გურიაშიც გამარჯვების წყურვილით ჩავიდა. მასპინძლებზე კი რა ვთქვათ: „გურიას“ ძალიან უჭირს, მაგრამ მაინც იმედიანად არის, სჯერა, რომ საქმე გამოსწორდება. ამ იმედს კი ლანჩხუთელთა თამაში იძლევა. გუნდი თანდათან იკრებს ძალას. მართალია, მას ჯერ არ მოუგია, მაგრამ მკაცრადაც ნუ მოვთხოვთ. ბოლოს და ბოლოს, მან „ტორპედოს“ და „ბათუმს“ დააკარგვინა ქულები. იმ შეხვედრებში „გურიამ“ ერთი ტაიმის გუნდის შთაბეჭდილება დატოვა, ახლა კი სიტუაცია უკეთესობისკენ შეცვლილა.

დიახ, მასპინძლებმა ნამდვილი ბრძოლა გაუმართეს გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს. მთელი მატჩის განმავლობაში ტოლი არაფერში დაუდეს. პირველ ათ წუთში მეტოქენი შებოჭილად ირჯებოდნენ, მაგრამ მერე თამაში გაიშალა და მართლაც რომ საინტერესო შეიქნა. გურულებისთვის ნავსრიცხვიანი წუთი იღლიანი გამოდგა: განევმა კუთხურიდან თსუ-ს შუაგულ საჯარიმოში ჩაწოდა. მცველებს არასწორი პოზიცია ეჭირათ, არც დოლიძე გამოსულა კარიდან და ჩხეტიამ ერთი შეხებით გაგზავნა ბურთი ბაღეში. მასპინძლები ამის შემდეგაც სოლიდურად გამოიყურებოდნენ. ფლანგებიდანაც უტევდნენ და ცენტრითაც ცდილობდნენ საჯარიმოში შესვლას. თსუს ძალა კი მაშინ გამოჩნდა, უკან რომ დაიხია და კონტრშეტევაზე აგო თამაში. სტუდენტები წინ ხან რუსიას და ხანაც ქორიძის მისამართით გზავნიდნენ ბურთს. 22-ე წუთზე ლანჩხუთელთა კარისკენ სახიფათო საჯარიმო დაინიშნა. მელქაძემ ასე 22-23 მეტრიდან დაარტყა, მაგრამ გოგუამ ივაუკაცა — მარჯვენა ცხრიანიდან გამოიტანა ბურთი. ცოტა ხანში ჩომახიძის ჩაწოდებულზე შალამბერიძე გავიდა კარგად და ოდნავ უკან კობიაშვილს დაუგდო, ამის დარტყმა კი მცირედით ასცდა მიზანს. 32-ე წუთზე მასპინძლებს მეორედ შეეძლოთ სტუდენტთა კარის აღება — ოთხი მოიერიშე ორი მცველის წინააღმდეგ დარჩა, მაგრამ ჯაშიაშვილის უხეირო გადაცემამ შეტევა ჩაშალა.

მარცხს მიუჩვეველმა სტუმრებმა მეორე ტაიმში ტემპს კი უმატეს, მაგრამ თამაშში გარდატეხის შეტანას ვერ ახერხებდნენ. გურულები თავსაც კარგად იცავდნენ და წინ საფრთხესაც უქმნიდნენ მეტოქეს. მაგრამ ასე შეა ტაიმამდე გაგრძელდა. სტუდენტებს ისევ რუსიამ უშველა. მისი შორიდან დარტყმული კარის ჯვარედინს მოხვდა, მერე ბურთი მარცხენა ფლანგზე როსტიაშვილს ჩაუვარდა, მანაც უმალ საჯარიმოში ჩაწოდა და... რუსიას ვოლი ძალიან წაეგავდა ჩხეტიასას. აი, ამის შემდეგ კი სიტუაცია უკიდურესამდე დაიძაბა. მოედანზე ძალისმიერი, ხისტი თამაში გაჩაღდა. მეტოქეები აღარაფერს ერიდებოდნენ. რამდენიმე სადავო ეპიზოდს ლამის დიდი აყალ-მაყალი მოჰყვა. ასე რომ მომხდარიყო, მხოლოდ მსაჯის სისუსტის ბრალი იქნებოდა. ბოლო ათ წუთში ხანაშვილმა აშკარად მიუშვა ფეხბურთელები და მათაც კინაღამ ფეხები დაამტვრიეს ერთმანეთს. მატჩი ფრედ დამთავრდა, დავიდარაბა კი თამაშის შემდეგაც გაგრძელდა. ლანჩხუთელები მსაჯობით იყვნენ უკმაყოფილნი. „გურიას“ პრეზიდენტმა საგაზეთოდ ორი სიტყვა მთხოვა და როგორ დავუკავებდი. ზაურ ფირცხალაიშვილმა ეს თქვა: ხანაშვილის უმსგავსო მსაჯობა პირველი არ არის. მან საქართველოს მხარეებიც კი გადაჰკიდა ერთმანეთს. ამ თამაშში გასაფრთხილებელი არ გაუფრთხილებია, დასაჯარიმებელი არ დაუჯარიმებია. ჩვენს წინააღმდეგ იყო მომართული. ასეთი ხალხისგან თუ არ გაიწმინდა, ქართულ ფეხბურთს არაფერი ეშველება.

მკაცრი განაჩენია. თუ რამდენად სამართლიანი, თამაშის დელეგატმა (თუ კომისარმა) ბაღრი ქარქაშაძემ განსაჯოს.

აყალ-მაყალს ცოტა აკლდა

უეფა გაფრთხილებთ

სოუზა, ხოლო მიუნხენის „ბაიერნის“ კრისტიან ნერლინგერი და ალექსანდერ ციკლერი არათუ „ბეშიქთაშთან“ ხვალინდელ მატჩს, „გოტებორგთან“ მეორე ტურის შეხვედრასაც გამოტოვებენ. ასევე ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს კიდევ ერთ გერმანელს, ბოდი ილგნერს, თუმცა, როგორც იცით, იგი ამჟამად „რეალის“ კარს იცავს და ამიტომ ეს ესპანელთა პრობლემაა. დანარჩენი სასჯელები ოდენ ერთი, ხვალინდელი მატჩებით ამოიწურება: „იუვენტუსს“ არ ეყოლება მარკ ჯულიანო, „მანჩესტერ იუნაიტედს“ — ისედაც ტრავმირებული ოლე გუნარ სოლსკიერი, „ენდჰოვენს“ კი — მარსიანო ფინკი.

რაც შეეხება ლიგის მატჩების დაწყების დროს, ის წლეულს სხვადასხვა იქნება. ხვალ უმრავლესობა მატჩები თბილისური დროით ღამის 12-ს რომ 15 წუთი უკლია, მაშინ იწყება. გამონაკლისია ოთხი შეხვედრა: გალათასარაი — დორტმუნდი (20.45), ოლიმპიაკოსი — პორტუ (22.45), სპორტინგი — მონაკო და ნიუკასლი — ბარსელონა (ორივე 00.45).

იხილეთ მეხუთე გვერდი

ზესტაფონი
ცენტრალური
15 სექტემბერი

მარგვეთი 0:4 მერანი

მარგვეთი: ნიკაბრიძე, ბინაძე, მორალიშვილი, ფანია, მელუა, კაციაშვილი, მალრაძე (ფოცხვერაშვილი 81), მოსიკაშვილი, ზაქარეიშვილი, ტოკლიკიშვილი, ხეტეშვილი
მერანი: გვენცაძე, ივანიშვილი, გოგიტაძე, ჯიშკარიანი (ცქიფურიშვილი 25), კაკუბავა (ბუხრიკიძე 82), ქორიძე (დანელია 82), კვარაცხელია, სიდამონიძე, ინიაშვილი, ბაბულაიძე, დავითაშვილი
0:1 ივანიშვილი (72), 0:2 კვარაცხელია (78), 0:3 დავითაშვილი (84), 0:4 დანელია (86)
გაფრთხილება: კაციაშვილი, ბაბულაიძე
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

ბესიკ ჯანგავაძე ზესტაფონიდან

„მერანმა“ არც აცია, არც აცხელა და მატჩის დაწყებისთანავე შეტევაზე გადავიდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მე-3 წუთზე მეკარესთან პირისპირ დარჩენილ დავითაშვილს ბიწამემ ცხვირწინ აეცალა ბურთი, სტუმრებს რაიმე რეალური საფრთხე მასპინძელთა კართან თითქმის მთელი პირველი ნახევრის მანძილზე აღარ შეუქმნიათ. არადა, დასაწყისს ისეთი პირი უჩანდა, სტუმრებს ჩიტი ბრდღვნად არ ეყოფაო. საბოლოო ჯამში ასეც მოხდა. თუმცა, პირველი ნახევარი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საამისოს არაფერს გვიქადდა. ტაიმი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, ორივე გუნდის შუა ხაზის მოთამაშეებმა უკომპრომისო ბრძოლა გაუმართეს ერთმანეთს მოედნის ცენტრზე საბატონოდ და მაინც მასპინძლები ოდნავ უკეთესად გამოიყურებოდნენ. ისინი უფრო კომბინაციურ, ლაღ ფეხბურთს თამაშობდნენ, ოღონდ კვლავ შეიმჩნეოდა ამჟამინდელი „მარგვეთის“ აქილევსის ქუსლი — თავდასხმის ხაზი საგრძნობლად პასიურობდა. რეალური საფრთხე მხოლოდ ორჯერ შეიქმნა სტუმართა კართან, მაგრამ ჯერ ტოკლიკიშვილი და შემდეგ ხეტეშვილი იმდენად შორი მანძილიდან ურტყამდნენ კარში, რომ გამოცდილ გვენცაძეს ვერა ავნეს რა.

მეორე ნახევარი პირველის ლოგიკური გაგრძელება იყო. მასპინძლები ჯერ კიდევ აქტიურობდნენ, მეტოქის ფეხბურთელებს მოძრაობის საშუალებასაც არ აძლევდნენ. თუ რაიმე სახეიო იქმნებოდა, ისიც ცალკეული ფეხბურთელის ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე ჯერ იყო და გენადი კაციაშვილმა თითქმის მოედნის ცენტრიდან ირბინა, ღონემიხდილმა კი ძლიერად დარტყმა ვეღარ შეძლო და გვენცაძემ ჩვეული ოსტატობით აიღო ბურთი. რამდენიმე წუთში კი საჯარიმოს კუთხიდან ზაქარეიშვილის უძლიერესი დარტყმა მერანელთა კარის ხარიხამ აისხლიტა.

ამის შემდეგ მასპინძლები რატომღაც საგრძნობლად მოეშვნენ, „მერანმა“ კი აიწყვიტა, გაილაღა და მეორე ნახევრის მე-20 წუთიდან მოყოლებული, მასპინძლები საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვა... ერთ-ერთ ეპიზოდში ინიაშვილის დარტყმის შემდეგ ბურთი მელუამ ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა. გატანილი გოლი კი საკმაოდ მოულოდნელი და ამასთან ლამაზი გამოვიდა — ივანიშვილის საჯარიმოს გარედან დარტყმული მცველების ზურგზე აიჭრა და მეკარისგან მარჯვენა მაღალ კუთხეში შევარდა.

სახტად დარჩენილი ზესტაფონელები ვერც გაშვებული გოლის შემდეგ მოვიდნენ გონს, დაცვის ხაზი მთლად აირია, ეტყობა, დაღლილობამ იჩინა თავი და რამდენიმე წუთში დაუდგრომელმა დავითაშვილმა კედელი გაითამაშა კვარაცხელიასთან, რომელმაც ჭვინტი ჭარა ბურთს, რითაც ანგარიში გააორა. ექვსიოდე წუთში ისევ დავითაშვილმა ითამაშა ბრწყინვალედ — კარისკენ ზურგით მდგომმა ჩვეულ სტილში შემობრუნებით მეკარისგან მარცხენა ცხრიანში მოათავსა ბურთი მასპინძლების განადგურებას კი შერმადინ დანელიამ შორეული ძლიერი დარტყმით დაუსვა წერტილი.

ჭეშმარიტება ბოლომდე ბრძოლაში იბადება

რუსთავი
„ფოლადი“
15 სექტემბერი

მეტალურგი 2:1 მაღარელი

მეტალურგი: კოროშინაძე, ბექაური, გურიელიძე, კედელაშვილი, მ. სახვაძე, ზირაქაძე, მელაძე, არსოშვილი (მიშველიძე 32), ნ. მინდიაშვილი (ფაცურია 75), დ. გოგოლაძე (ა. შვილაძე 53), კ. ალადაშვილი
მაღარელი: გვალესიანი, ტეფნაძე, იობაშვილი, ასანიძე, მ. გაბრიჭიძე, აბრამიშვილი, შველაშვილი, ბუიშვილი (ლოლაძე 83), თ. სამხარაძე (გეგეშიძე 81), კავთელაძე, მენაბდიშვილი (ჯ. სამხარაძე 68)
0:1 ბუიშვილი (22), 1:1 ზირაქაძე (40), 2:1 მიშველიძე (61)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

ჭიათურელი კავთელაძე ბექაურის გავლას ლამობს

კობა ინასარიძე რუსთავიდან

წინა ტურში ორივე გუნდი დამარცხდა. „მეტალურგი“ ზესტაფონში, „მაღაროელი“ — ბოლნისში. გარდა ამისა, მეტოქეებმა აქამდე მხოლოდ თითოჯერ გაიმარჯვეს და სატურნირო ცხრილშიც მეზობლად იყვნენ. „მარგვეთთან“ მარცხის შემდეგ რუსთაველები გიგლა იმნაძემ მიატოვა. როგორც ამბობენ, ბლდანში ყოფილ მეკარეს კარლო მჭედლიძეს ბავშვთა საფეხბურთო სკოლა დაუარსებია და ჯიმიც იქ მიუწვევია. თუმცა, ზუსტად ჯერ არაფერია ცნობილი.

მოკლედ, „მეტალურგი“ დროებით იასონ ალადაშვილმა ჩაიბარა და „მაღაროელთანაც“ იგი მწვრთნელობდა, იმნაძის დროინდელი სტაბილური შემადგენლობაც ოდნავ გადაახალისა, ცოტაც ტაქტიკური ცვლილებები მოახდინა და იხეირა კიდეც. თუმცა, პირველი ტაიმის უმეტესი დრო რუსთაველები ისე დაბნეულად გამოიყურებოდნენ, კაცი ვერ იფიქრებდა, თუ გაიმარჯვებდნენ.

მატჩი საკმაოდ დაბალ ტემპში მიმდინარეობდა. აშკარად იგრძნობოდა, წლევანდელ სეზონში ორივე გუნდის მიზანი ჯგუფში ადგილის შენარჩუნება რომ იქნება. ეს განსაკუთრებით სტუმრებზე ითქმის. ჭიათურლები ისე უნიათოდ ირჯებოდნენ, ამათ შემყურე „ფოლადზე“ მისულ ორასამდე გულშემატკივარს ფეხბურთზე გული ნაღდად აუცრუვდებოდა. დაწინაურების შემდეგ სტუმრებს მასპინძლებმაც რომ აუბეს მხარი, ბოლო 25 წუთი ისეთი მოსაწყენი თამაში იყო, ხალხი მატჩის დამთავრებას ნატრობდა. გოლებიც ისეთი გავიდა, ბევრი საუბარი არც ღირს.

მაღარო მეტალურგიის სამსახურში

22-ე წუთზე კავთელაძემ ჩააწოდა, ბურთი ბუიშვილს მიუგორდა, ამან კი ერთ-ერთი მცველის მეშვეობით შეაგდო. შემდეგ, კუთხურიდან ბექაურის მოწოდებული გველესიანმა მუშტებით მოიგერია და ზირაქაძემ დაარტყა საგოლედ, ბოლოს კი ჭიათურელთა საჯარიმოში თაური ბურთაობის შედეგად შექმნილი არეულობა ასევე თავით მიშველიძემ დაასრულა...

ქებაძემ ლიბერო თარხნიშვილი (№5) შეაწუხა, მაგრამ ვერ გაუტანა

სარეკლამო საგაზეთო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

გორი
ცენტრალური
15 სექტემბერი

დილა 1:1 ტორპედო

დილა: ილურიძე, ჩიტაია (თაყაძე 74), რ. ხაჭაპურიძე, ჯ. გაგნიძე (ტაბატაძე 56), თარხნიშვილი, წკრიალაშვილი, მარუხაშვილი, ხ. გაგნიძე, ჩალაძე (აკოფიანი 46), ციცქიშვილი, მ. მინდიაშვილი
ტორპედო: კიკალეიშვილი, ხვადაგიანი, თურმანიძე, შ. ხუჯაძე, ჯინჭარაძე, მალლაკელიძე, კ. კვეტენაძე, ქებაძე, ნოზაძე (ვ. გოგიაძე 68), მეგრელიძე, ვაჩიბერაძე (ჩხეტიანი 56)
0:1 მეგრელაძე (11), 1:1 თარხნიშვილი (66)
გაფრთხილება: მალლაკელიძე
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

ბადრი ჯობლაძის ფოტო

ვახტანგ ბზიკაძე გორიდან

ერთი ქულა — არაქულა

გორში ორი დებიუტი შედგა. ორივე გუნდი თამაშზე ახალმა მთავარმა მწვრთნელმა გამოიყვანა. ერთი უფრო ხმამაღლა მივიდა ახალ გუნდში, მეორე უჩუმრად, შედეგი კი ერთნაირი მოიმკეს. ბევრი, ბევრი, სტუმრისთვის გასვლაზე მოპოვებული ქულა მეტად ფასობდეს, მაგრამ მათთვის ერთი ქულა არაქულაა.

გუშინდელ მეტოქეებს ჩემპიონატის წინ ამბიციებიც ისეთი ჰქონდათ, როგორც მათ მწვრთნელებს თამაშის წინ: „ტორპედო“ ევროტურნირის საგზურის მოპოვებას აპირებდა და, მგონი, კვლავაც აპირებს, „დილა“ კი, ვის ეგონა, თუ შეიკრიბებოდა. შეიკრიბა კი არა, ვფიქრობ, არც ჯგუფში დარჩენა უნდა გაუჭირდეს და არც მეტის მიღწევა.

რომ ვთქვა, ქუთაისში სერგო კუტიკაძის დაბრუნებამ „ტორპედოს“ თამაში რადიკალურად შეცვალაო, დამეჯერება? რა უნდა შეცვლილიყო 3 დღეში? დიდი-დიდი, შემადეგნლობა. ჰა, ჰა, ახალ მწვრთნელს ძირითადის ერთიორი მოთამაშე სხვებით შეეცვალა. ასეც მოხდა. „დინამოსთან“ მარცხიანი შეხვედრიდან ქუთაისელებმა ირაკლი ხუჯაძე მოისაკლისეს. შემატებით კი მხოლოდ სკამდან შეიმატეს მოთამაშე, რადგან რუსეთიდან მობრუნებული დავით ჯანაშიას და იონანიძის დამტკიცება არ მოესწრო. ისე კი, არაფერი შეცვლილა.

ბევრი რამ არც ნოდარ კიკნაძის „დილაში“ მისვლით გადასხვაფერებულა, მაგრამ მაინც კი დაეტყო. გორელებმა ყოველთვის ეშმაკი ფეხბურთელის დარიგებით სწორედ ისე ითამაშეს, როგორც ამ მატჩს შეეფერებოდა და იხეირეს. ყოველ შემთხვევაში, უკვე მე-11 წუთზე 0:1 რომ აგებდნენ, ქულა მაინც იხსნეს.

სიმართლე გითხრათ, მკითხველისადმი პატივისცემის გრძნობა თამაშის პერიპეტიათა აღწერას მაიძულებს. მაგრამ, რა ვქნა, თუ ორმაგ ცეცხლში ვარ? ამ მატჩის მომენტთა ჩამოთვლა უფრო დიდ შეურაცხყოფად მიმაჩნია, ვიდრე უთქმელობა. პირველი 15 წუთის შემდეგ ასეთ ჭკუაზე არ გახლდით, თუმცა კი თამაში თავიდანვე მდარე და უღიმღამო მეჩვენა. ამ დროში ბევრი არაფერი მომხდარა, მაგრამ რას ვფიქრებდი, თუ ეს დრო მატჩის საუკეთესო მონაკვეთს დაიტევდა. არადა, 13 წუთში მეგრელაძემ თურმანიძის პასი გამოიყენა, მარეხაშვილმა კი ხარიხა შეაზანზარა. დასაწყისისთვის ურიგოც არ გახლდათ, მაგრამ ეს თურმე თამაშის დასასრულის დასაწყისი ყოფილა. ამის შემდეგ კი დაიწყო ის, რაც ფეხბურთს შეურაცხყოფს და აკნინებს. ურცხვობამ ორგზის იჩინა თავი, თუმცა პირველს პროლოგად ერთი ცდა უძღოდა, მეორემ კი ეპილოგობა შეიფერა.

თავიდან მივყვეთ. პირველი ტაიმის ბოლოს „დილამ“ გოლი კი გაიტანა, მაგრამ თანამსაჯმა ელიკაშვილმა თამაშგარე მანამდე დააფიქსირა და ლორთქიფანიძეს, სურვილის მიუხედავად, გოლის არჩათვლა აიძულა, სამაგიეროდ, არბიტრს ხელი ველარავინ შეუშალა პენალტის დანიშვნაში, რადგან წესის დარღვევა მეორე თანამსაჯის შალვა ბერიძის მხარეს მოხდა. სინამდვილეში კი, მანამ, სანამ ხვადაგიანის მიერ წაქცეული ხაჭაპურიძე ბურთს მიიღებდა, მინდიაშვილთან ერთად თამაშგარეში იდგა. იქვე ახლოს იყო ლორთქიფანიძეც. ასე რომ, პენალტი კი სწორად დაფიქსირა, მაგრამ ბერიძის პასიურობით თამაშგარე გაატარა. სტუმრებმა პირველად აქ იყნოსეს სიმუხთლე და პენალტის გამტან თარხნიშვილს გაუჯავრდნენ. მატჩის შემდეგ კი კიკნაძე ირონიული რეპლიკებით შეამკეს.

„ტორპედოს“ მესვეურთა სიტყვებმა, ვაუკაცის სიტყვა სიტყვა უნდა იყოსო, ეჭვი უფრო განამტკიცა, თუმცა, აქ მხოლოდ ეს ითქმის: სპორტში დათმობაც ვერაფერი ვაუკაცობაა.

მეორე ჯგუფი

II ტური

ცხინვალი — სამეგრელო 6:0
მერცხალი — მეშახტე 1:0
ასკ — ივერია 3:1
სპერი — ჯუბა 1:0
აკადემია — კოდაკო 3:1
კოლხეთი — იმერეთი 4:3

ასკ	7	6	1	0	23:3	19
აკადემია	7	6	1	0	25:10	19
მერცხალი	7	5	1	1	15:10	16
კოლხეთი	7	5	1	1	17:13	16
ივერია	7	5	0	2	22:8	15
სპერი	7	5	0	2	17:10	15
ჯუბა	7	4	1	2	11:8	13
ცხინვალი	7	4	0	3	20:11	12
თორი	6	3	1	2	14:9	10
მეშახტე	7	3	0	4	14:11	9
სამეგრელო	7	1	1	5	7:19	4
ფაზისი	6	1	0	5	10:18	3
იბერია	6	1	0	5	6:18	3
კოდაკო	7	1	0	6	5:23	3
იმერეთი	7	0	1	6	7:26	1
საპოვნელა	6	0	0	6	2:18	0

მესამე ჯგუფი

I ტური

დასავლეთი
ეგრისი — ოქროს საწმისი 1:0
ბათუმი 2 — ენგური 1:1
სამგურალი 2 — გაგრა 3:2
ოდიში 2 — სულორი 1:0
ტორპედო 2 — შუქურა 1:1

ცენტრალური
თსუ 2 — ვარძია 1:1
დინამო 2 — 35-სტუ 5:2
ბაია ქასქი — მრეტები 1:0
ჟინერი — ლოკომოტივი 2 1:0

აღმოსავლეთი
ყვარელი — ალგეთი 2:0
ალაზანი — ჭაბუკიანი 2:0
სამგორი — იბერია 0:4
შირაქი — ხალიბი 97 1:0

ინგლისი

VI ტური
ნიუკასლი 1:3 უიმბლდონი

ნიუკასლი: გივენი, ბარტონი (ქეცბაია 64), ბეგზსფორდი, ალბერი, უოტსონი, პისტონე, გილესპი (ასპრილია 64), ლი, ბარნსი, რაში, ტომასონი

უიმბლდონი: სალიანინ, კანინგემი, კიმბლი, ჯოუნსი, ბლეკველი, კორტი, პერი, ერდლი (კასტლდაინი 40), პიუზი, გეილ (ტეტჩარი 54), ვაკუ

0:1 კორტი (2), 1:1 ბარტონი (32), 1:2 პერი (59), 1:3 ვაკუ (76)

ლონდონელთა 19 წლის დებიუტანტმა კარლ კორტმა მატჩის დაწყებისთანავე ახარა. თავისიანები. ამ მაღალ, გამხდარ ყმაწვილკაცს „უიმბლდონის“ მაისურით ადრეც უთამაშია, მაგრამ შაბათს ძირითადში პირველად იდგა. კორტს მხარი დანარჩენებმა სტუმრებმაც აუბეს და ჩემპიონობის პრეტენდენტს ზედიზედ 7 პრემიერლიგური მატჩისგან შემდგარი დაუმარცხებელი სერია შეაწყვეტინეს. გამარჯვება „უიმბლდონზე“ ნაღდად ალალი იყო, რადგან ქეცბაიას თანაგუნდელებმა პირველ ტაიმში თითო-ოროლა სახიფათო შეტევა განახორციელეს. კენი დალგლიშის ნაადრევად ჩამორჩენილ ბიჭებს გაყიმება მალევე შეეძლოთ, თუმცა დანიელ იონ დალ ტომასონს სალივანმა გარეკა წყალში ჩაუყარა.

წინ და უკან უაზროდ მორბენალი კერპების ცქერა „სენტ ჯეიმსზ პარზე“ შეკრებილ 36 ათასამდე ფანს ნახევარ საათში მოსწყინდა და ეაკკაციურად შემოუახეს. გულშემატკივართა ყიჟინით ფრთაშესხმულმა „ნიუკასლმა“ მეტოქე რამდენიმე წუთით კარს მიეჯაჭვა და მალე მიზანიც აისრულა — ნილ სალივანმა გილესპის დარტყმა კი უკუაგდო, მაგრამ უორენ ბარტონის დამატებულთან ვერას გახდა. შესვენებამდე მასპინძლებს კიდევ შეეძლოთ ეხეირათ, მაგრამ იმ დღეს „ნიუკასლში“ პირველად მოთამაშე ჯონ ბარნსის გასროლილი სალივანმა შეაჩერა.

შესვენების შემდეგ სურათი არ შეცვლილა — ლონდონელები აშკარად უფრო კარგად ირჯებოდნენ და მალე იხეირეს კიდეც — შეი გივენმა პერის დარტყმულის მოგერიება ვეღარ შეძლო. დალგლიში მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო და თემური და ფაუსტინო ერთად შეუშვა. ამათი გასვლა და სახიფათო მომენტის შექმნა ერთი იყო — საჯარიმოს მისადგომებთან კანინგემი ქეცბაიას ეუხეშა, ჯარიმიდან გოლამდე კი ასპრილიას ცოტა დააკლდა. ამასობაში „უიმბლდონიც“ სახიფათოდ უტევდა, თუმცა გივენი მედგრად იდგა, მაგრამ გაწეული ჯაფა ბოლოს მაინც ქარს გაატანა: შავმა ეფან ეკოკუმ ბურთი მიიღო, მასპინძელთა კარისკენ გასწია, გზად ქართველ ახალგაზრდებთან დამარცხებული პისტონე გააპამპულავა და არც გივენი დაინდო. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „უიმბლდონმა“ ჩრდილოინგლისელები აშკარად დაჯაბნა. შეცბუნებული კენი დალგლიში ამბობდა კიდეც — ჩემი გუნდი ასეთი დაბეჩავებული, კარგა ხანია, არ მინახავსო, თუმცა მას არც მეტოქის თავდადების აღნიშვნა დაავიწყდა.

მანჩესტერი 2:1 ვესტ ჰემი

იუნაიტედი: შმაიხელი, გ. ნევილი, პალისტერი, ბეგზი, სქოულზი, კინი, ფ. ნევილი, ბეთი, ბექჰამი, გიგზი (პობორსკი 67), კოუღლი (მაკკლეირი 89)

ვესტ ჰემი: ბიანლოშკო, ბრეიქერი, პოტსი, ფერდინანდი, ანსუორსი, მონკური (ლამპარდი 80), ლომასი, პიუზი, კიტსონი, ბეკოვიჩი, ჰართსონი

0:1 ჰართსონი (14), 1:1 კინი (21), 2:1 სქოულზი (76)

ხვალ ინგლისის ჩემპიონები ჩემპიონთა ლიგაში ჩაებმებიან, მაგრამ ისეთი თამაშით, როგორიც შაბათს აჩვენეს, ნაკლებად მოსალოდნელია, ლიგაში რაიმე ღირებულს მიაღწიონ. ჰართსონ-კიტსონის წინწაწეულმა წყვილმა და მათ უკან გამწესებულმა ბერკოვიჩმა მანჩესტერელთა მცველები გააწამეს და რომ არა შმაიხელი, რომელსაც ამ თამაშში გოლგაუშვებელი სერია შეაწყვეტინეს, ანგარიში ისეთი გახდებოდა, საეჭვოა, მასპინძლებს მატჩი გადაერჩინათ. პირველი გოლი კი ასე გავიდა: მიკლოშკოს ძლიერი დარტყმული ლამის დანიელის კარამდე მივიდა, პალისტერმა, რომელსაც ხელს არავინ უშლიდა, თავით დაუგდო მეკარეს, მაგრამ დარტყმა ნელი გამოვიდა და წამოპარულ ჰართსონს გატანა აღარ გასჭირვებია. ჩაქუჩების ლიდერობა დიდხანს არ გაგრძელებულა — თავდამსხმელად გამწესებულმა პოლ სქოულზმა იმდენი ქნა, სანამ თავისიანებს არ გაამარჯვებინა, მანამდე კი მასპინძლებმა კაპიტნის წყალობით გააყაიმეს: რიი კინის 25 მეტრიდან დარტყმული მონკურს შეეხო, ასხლეტილზე რეაგირება კი მიკლოშკომ ვეღარ მოასწრო. სქოულზის გოლამდე უფერულად მოთამაშე კოუღლმა ექვსი მეტრიდან ვერ ივარგა. პირველი ტაიმი ფრედ დასრულდა, შეხვედრის განახლებისთანავე კი ფილ ნევილის ძელმოხვედრილი თაური სტუმართათვის საფრთხის მაუწყებელი გამოდგა და მალე სქოულზმა იხეირა კიდეც. ამ მოგებით მანჩესტერელებმა 5 აპრილს დაწყებული შინ დაუმარცხებელი სერია გააგრძელეს.

არსენალი 4:1 ბოლტონი

არსენალი: სიმენი, დიქსონი, უინთერბერნი, ბოულდი, პეტი, გრიმანდი, ვიეირა, პარლოუ (პლატი 77), ოვერმარსი, ბერხკამპი, რაიტი (ანელკა 82)

ბოლტონი: ბრენეგენი, ფრანდსენი, ტაგარტი, პოლოკი, სვლერსი, ტომპსონი, ბერგსონი, ფილიპსი, მაკენისპი (ტოდი 47), ბლეიქი, ბერდსლი (გუნლაუგსონი 66)

0:1 ტომპსონი (13), 1:1, 2:1 რაიტი (20, 25), 3:1 პარლოუ (44), 4:1 რაიტი (81)

25-ე წუთი: ბერხკამპის დარტყმას ბრენეგენი იგერიებს, თუმცა ბურთს ვიეირა ეუფლება. ფრანგი არ ძუნწობს და საპირისპირო მხარეს, ცარიელი კარის წინ მყოფ რაიტს აწვდის. იანი ბურთს ფეხს უხვედრებს და... კლიფ ბასტინი, ალბათ, საფლავში გრძნობს... ამ არც ისე შთამბეჭდავ, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან დარტყმას იან რაიტი „არსენალის“ ისტორიაში შეჰყავს — იგი ლონდონური კლუბის რეკორდსმენი ხდება.

თამაშამდე უმეტესობა იმის გამოცნობას ცდილობდა, თუ რამდენი გოლით მოიგებდნენ მასპინძლები, მაგრამ თარს მე-13 წუთზე „მეთოდეთა“ გულშემატკივრებს ციმა ოფსმა დაასხა — ტომპსონმა თაურით ინგლისის პირველი მეკარის კარი დალაშქრა. „ჰაბრიზე“ შეყრილთა გასახარად, მასპინძლები გონს მოვიდნენ და საქმეს მიხედეს. თუ როგორ შეძლეს, ეს საბოლოო შედეგიდანაც ჩანს. ისე, „არსენალს“ უფრო გვარიანად უნდა ემარჯვა, მაგრამ მისმა ლეგიონერებმა ბლომად მომენტები გააფუჭეს.

გლეიბერნი 3:4 ლიდსი

ბლეკბერნი: ფლაუერსი, კენა, ჰენდრი, ვილკოქსი (დფფი 72), ფლიტროფტი, ვალერი (ალექსანდერსონი 81), ენროსი, ბოპინენი (შერვუდი 72), გალაჰერი, დალინი, საგონი

ლიდსი: მარტინი, კელი, რობერტსონი, რადჯე, უოლესი, უეზერლი, ჰოფკინი, კიუველი, ჰალე, მოლენაარი (რიბეირო 46), ჯიმი (ლილი 80)

0:1 უოლესი (3), 0:2 მოლენაარი (6), 1:2 გალაჰერი (9), 2:2 საგოსი (ბ ბ) 2:3 უოლესი (17), 2:4 ჰოფკინი (23), 3:4 დალინი (33)

„ივუდ პარკზე“ გულშემატკივრებს გოლების ნაკლებობა ნამდვილად არ უგრძნიათ — წინა მასპინძლობაზე მათ ცხრა გოლი იხილეს (შეფილდთან 7:2), ახლა კი — შვიდი, თუმცა, მათდა სამწუხაროდ, ამჯერად უმეტესობა „ბლეკბერნის“ კარში გავიდა. თამაშამდე რიი ჰოჯსონს თვის საუკეთესო მწვრთნელის პრიზი გადასცეს. მისმა გუნდმა ახლაც კარგად ითამაშა, მაგრამ მეტოქემ აჯობა.

შეფილდელებთან მატჩში 23-ე წუთისთვის მასპინძლები 5:1 იგებდნენ, ახლა კი იმავე წუთზე 2:4 იყო. სტუმრები იგებდნენ, მაგრამ მსაჯით უკმაყოფილონი იყვნენ და ამის მიზეზიც ჰქონდათ — ბრისტოლელი არბიტრი დანი ხშირად მასპინძელთა სასარგებლოდ ცდებოდა, პენალტიც სრულიად ჩვეულებრივი ჯარიმის შემდეგ დანიშნა, კიუველი კი მოედნიდან მიაბრძანა. ჯოჯო გრემმა მატჩის შემდგომ დანის გასაგონად განაცხადა, მაგნაირი ხალხი ინგლისურ ფეხბურთს ჩირქს სცხებსო. საინტერესოა, რომ რიი ჰოჯსონმაც წაგებაში არბიტრი დაადანაშაულა — რატომღაც სტუმართა წესის დარღვევებზე თვალს ხუჭავდაო.

დაახლოებით ერთი წლის მანძილზე, რაც ჯორჯ გრემი უდგას „ლიდს“ სათავეში, ამ გუნდს ერთ მატჩში ოთხი გოლი არ გაუტანია.

ლივერპული 2:1 შეფილდი

ლივერპული: ჯეიმსი, ჯოუნსი (მაკატირი 89), კვარმე, რაიტი, ბიორნებიუ, ტომასი, ჰარკნესი (მატეო 28), ინსი, მაკმანამანი, ოუენი, რიდლე (ბერგერი 73)

უენსდეი: პრესმენი, აზერტონი, ნოლანი, ბეგბრიჯი (კოლინზი 73), ნიუსომი, უოქერი, უითინგემი, ჰერსტი, დი კანიო, ნიქოლი (ბრისკო 68), ჰეჯილტონი

1:0 ინსი (55), 2:0 ტომასი (68), 2:1 კოლინზი (80)

სტუმრებს ტრავმების და გაფრთხილებების გამო რვა ფეხბურთელი აკლდათ. ზედიზედ მესამე გასვლით მატჩში დამარცხების მიზეზად შეფილდელთა მწვრთნელმა დევიდ პლუტმა სწორედ ეს დაასახელა, მაგრამ შეხვედრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეფილდელებს ის რვაც ვერაფერს უშველიდა. მასპინძლებმა მინიმალური ანგარიშით კი მოიგეს, მაგრამ ამაში მთავარი „დამნაშავე“ პრესმენია. მან წითელმაისურიანებს ისეთი ბურთები აუღო, მასპინძლები აღაშფოთა, მაგრამ არც ის უნდა დავიიწყოთ, რომ ორჯერ ინსის, ერთხელაც რიდლეს დარტყმული ძელს მოხვდა. ლივერპულელთა შორის კვლავ აქტიურობდა პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე მცირეწლოვანი მოთამაშე მაიკლ ოუენი. ამ 17 წლის ჭაბუკის შეჩერება შეფილდელთა მცველებმა ვერაფრით მოახერხეს.

კრისტალ პალასი 0:3 ჩელსი

კრისტალ პალასი: მილვრი, გორდონი, რობერტსი, ტატლი, ლინიგენი, შიპერლი, დეივრი (ფრიდმენი 55), ფულერტონი, მუსკატი (ზოხარი 73), ლომბარდო, ემბლინი (ვერტი 83)

ჩელსი: დე გუი, ჰეტრეკეი, ლებეფი, დუბერი, ლე სო, ფლო, ნიქოლსი, ბ. პიუზი, უაიზი, პოიტი, მ. პიუზი

0:1 მ. პიუზი (20), 0:2 ლებეფი (26 პ), 0:3 ლე სო (90)

ბევრს დაეპადა კითხვა, თუ რატომ არ დააყენა გულიტმა ძირითადში საქართველოსთან ნათამაშევი ძოლა, დი მატეო, ანაც მესამე იტალიელი ჯანლუკა ვიალი. უმეტესობამ ეს მწვრთნელთან გართულებულ ურთიერთობას მიაწერა, მაგრამ შეხვედრის დასასრულს თავად გულიტმა ეს შემდეგნაირად ახსნა — ხუთშაბათს თასების თასზე გვაქვს სასტიდან“ მილიონ 300 ათას გირვანქად შეძენილმა ეშლი უორდმა. იგი თანაგუნდელთა შორის საუკეთესო იყო, მაგრამ ორჯერ ცარიელი კარის წინ მყოფმა ვერ ივარგა. სანამ მეტოქე მომენტებს ვერ იყენებდა, „ვილა“ ძირითადად იორკის წყალობით ხეირობდა, კოლიმორი კი, დუალტთან ერთად უძლიერესი დუეტის შექმნაზე რომ საუბრობდა, კვლავ ჯანზე ვერ იყო.

REUTERS ლივერპულიდან

ლივერპული — შეფილდი. მეჯილტონის უხეშობას ლამის რიდლე შეეწირა

დერბი ქაუნთი 3:1 ევერტონი

დერბი: პოომი, როუეტი, ჯ. პაული, შტიმაცი, სტარიჯი, ასანოვიჩი (ტრილოპი 60), ლაურსენი (ვან დერ ლაანი 46), კერსლი, დეილი, ჰანტი (დ. პაული 90), ბაიანო

ევერტონი: საუთჰოლი, ბარეტი (ბარმბი 60), ჰინჩლიფი, შორტი, ბილიჩი, უილიამსონი, სპიდი, ოსტეერი, სტიუარტი, ფერგიუსონი, ბრენნი (კადამარტერი 11)

1:0 ჰანტი (23), 1:1 სტიუარტი (28), 2:1 ჯ. პაული (33), 3:1 სტარიჯი (66)

ახალ სტადიონზე „დერბიმ“ მეორეჯერ იმარჯვა ამდენივე შეხვედრიდან. მთელი თამაშის მანძილზე მასპინძელთა გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, რადგან ლივერპულელების ერთადერთი ფორვარდი, ნაცხარი დანკან ფერგიუსონი დაკისრებულ მოვალეობას აშკარად თავს ვერ ართმევდა. ბარმბის შესვლამდე „ევერტონს“ სახიფათო მომენტი არც შეუქმნია, თუმცა, მეორე თავდამსხმელი გამოჩნდა თუ არა, სტუმრები ათნი დარჩნენ — ენდი ჰინჩლიფი, შარმან ნოემბერში ჰოდლს თბილისში რომ ჰყავდა ჩამოყვანილი, კერსლის ეუხეშა და მსაჯმაც არ დაინდო.

ქოვენთრი 1:0 საუთჰემპტონი

ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, შოუ, ბაროუსი, ვილემსი, ნილსონი, სალაკო, სოლტვედტი, ბაკერბი, დაბლინი, ტელფერი, მაკალისტერი

საუთჰემპტონი: ჯოუნსი, დოდი, ტოდი, მონკუ, ლუნდეკვამი, ოუკლი, რიჩარდსონი, ბოუვენი (ოიჰანსენი 69), ვვანსი, ოსტენსტადი (დვეისი 46), ჰიუზი (ნილსონი 69)

1:0 სოლტვედტი (65)

მასპინძლებს გაცილებით დიდი ანგარიშით შეეძლოთ მოგება, მაგრამ ერთის მეტი ვერ გაიტანეს. ის კინკილა გოლი კი მეტად ლამაზი კომბინაციის შედეგი გახლდათ: ნილსონის გრძელი პასი დიონ დაბლინმა მიიღო, ცოტაც გაირბინა და „რუსენბორგიდან“ ნახევარ მილიონ გირვანქად შეძენილ ტრონდ სოლტვედტს მისცა, ამან კი მეკარის მოტყუების შემდეგ თავისი პირველი პრემიერლიგური გოლი შეაგდო.

პირველი დივიზიონი

ბერი 1:1 სიტი

სიტი: მარგეტსონი, მორლი, ვან ბლეერკი (სკალი 47), ვიკენსი, საიმონსი, ედჯილი, სამერბი, ჰორლოკი, ბრედბერი, ქინქლაძე, ბრეინერი

1:0 ჯონსონი (65), 1:1 მორლეი (81)

31 წლის შემდეგ დაუპირისპირდნენ მეტოქენი ერთმანეთს. მათ ბოლო შეხვედრაში, რომელიც 1966-67 წლების სეზონში გაიმართა, „სიტმა“ იმარჯვა.

მასპინძლებმა პირველი წუთებიდანვე შეუტიეს მოწინააღმდეგეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ — მანჩესტერები აშკარად მაღლა იდგნენ, გიო ქინქლაძეს კი კოკაკოლას თასზე მოღებული კოჭის ტრავმის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა — მეორე ნახევარში მან ძელი შეაზანზარა, მერე კი, როცა ანგარიში ჯერ არ იყო გახსნილი, თავისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გააფუჭა. „სიტი“ 19 წლის დებიუტანტმა დევიდ მორლიმ გადაარჩინა — მისი თაური, რომელიც სკალის კუთხეს მოჰყვა, უძლიერესი იყო.

ლაზა გოდუაძე

ფეხბურთის რუკასთან

ჩეხეთის მე-6 ტური: ჩესკე ბუდეოვიცი — ვიქტორია (პლზენი) 1:1, დუკლა — ვიქტორია (ჟიჟკოვი) 0:0, კაუჩუკი — ბობი ბრნო 1:1, ლაინე — ტეპლიცე 1:2, სლოვანი — სიგმა 1:0, პეტრა — ჰრადეც კრალოვე 1:0, სლავია — სპარტა 0:1. 18 ქულით ლიდერობს სპარტა. 11 ქულით მეორეა სლავია.

ბრაზილიის მე-15 ტური: კრუზეირო — პარანა 4:0, გუარანი — ატლეტიკო მინეირო 1:3, ფლამენგო — ამერიკა 4:2, ვიტორია — ვასკუ და გამა 4:2, რესიფი — ინტერნაციონალი 2:0, გოიასი — კრისიუმა 3:2, სანტოსი — კურიტიბა 2:1, პორტუგეზა — კორინტიანსი 2:1, ატლეტიკო (პარანენსე) — ეუვენტუდი 3:1, გრემიო — ბაია 2:2, სან პაულუ — ბოტაფოგო 2:2, ბრაგანტინო — პალმეირასი 2:1. 14 თამაშიდან 33 ქულით ლიდერობს პორტუგეზა. 15 თამაშიდან 31 ქულით მეორეა ინტერნასიონალი.

რუმინეთის მე-6 ტური: სპორტული — უნივერსიტატია (კრაიოვა) 1:3, ფარული — რაპიდი 0:1, ჟიული — ნაციონალი 1:2, ჩახლაული — ოცელული 0:0, უნივერსიტატია (კლუჟი) — ბაკაუ 0:0, გლორია — ფორესტა 0:0, პეტროლული — დინამო 1:2, ხინდია — არჯეში 2:4, სტიაუა — რესიტა 5:1. 18 ქულით ლიდერობს არჯეში. 16 ქულით ოცელული მეორეა.

იუგოსლავიის მე-5 ტური: ზეელეენიკი — პარტიზანი 1:1, ზემუნი — ობილიჩი 0:0, პროლეტერი — ჩუკარიჩკი 0:3, მლადოსტი — რადი 3:1, ვოივოდინა — ბუდუჩნოსტი 2:2, ცრვენა ზვეზდა — ჰაიდუკი 4:1. 13 ქულით ლიდერობენ პარტიზანი, ცრვენა ზვეზდა და ობილიჩი.

ხორვატიის მე-6 ტური: მლადოსტ 127 — სლავენი 2:1, ჰაიდუკი — რიეკა 2:1, ვარტექსი — დრაგოვილიაცი 1:1, ოსიეკი — ზადარკომერციი 2:0, შიბენიკი — ზაგრები 2:1, 15 ქულით ლიდერობს ჰაიდუკი. მეორეა ოსიეკი. 13 ქულით.

სლოვენიის მე-7 ტური: გორიცა — რუდარი 2:0, პუბლიკუმი — კოროტანი 4:1, ოლიმპია — პოტროშნიკი 1:0, მურა — ვეეჩე 1:0, მარიბორი — პრიმორიე 0:1. 16 ქულით ლიდერობს პრიმორიე. მეორეა გორიცა 15 ქულით.

ლუქსემბურგის მე-3 ტური: პეტანჟი — სპორა 5:0, ვილიცი — ჰოფშაიდი 2:1, ავენირი — უნიონნი 0:4, ჟენეს ეში — დუდელანჟი 3:1, სპორტინგი — გრევენმახერი 0:1, რუმელანჟი — რედ ბოიზი 4:2. 9 ქულით ლიდერობენ უნიონი და გრევენმახერი.

ალბანეთის პირველი ტური: ბილეში — აპოლონია 3:1, სოპოტი — ბესა 3:2, ლაჩი — პარტიზანი 3:0, ტეუტა — ელბასანი 1:0, ფლამურტარი — მუმბინი 2:2, სკენდერბეო — ოლიმპიკი 0:0, ტომორი — ლუშნია 3:3, ვლაჟნია — ალბპეტროლი 2:0

სლოვაკეთის მე-6 ტური: დუკლა (ბანსკა ბისტრიცა) — ბარდეიოვი 1:1, ტრენჩინი — რუზომბეროკი 1:3, ხემლონი — ტატრანი 2:1, სლოვანი — ჟილინა 4:0, ტაურისი — სპარტაკი 0:0, კოშიცე — ინტერი 1:1, პეტრომექსი — დუნაისკა სტრედა 3:0, არტმედია — ლოკომოტივა 3:0. 14 ქულით ლიდერობს სპარტაკი. 13 ქულით მეორეა ჟილინა.

რუსეთის ჩემპიონატის მაჩანჩალა ნაბრეჟნე ჩელნის „კამაზისთვის“ ექვსი ქულის დაკვთვამ მთელ რუსეთში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. „კამაზს“ ექვსი ქულა „ბალტიკასთვის“ სატრანსფერო თანხის დროულად გადაუხდელობის გამო ჩამოერთვა, თუმცა, შეიტყო თუ არა სასჯელის შესახებ, „კამაზმა“ რუსეთის ფეხბურთის კავშირის სადისციპლინო კომიტეტში იჩივლა — კალინინგრადელებს თანხა კი გადაეუხადეთ, მაგრამ იქამდე ფულმა რომ ვერ ჩააღწია, ჩვენი კი არა, ბანკის ბრალიაო. „კამაზის“ წარმომადგენელმა, ამავდროულად რუსეთის დუმის დეპუტატმა ვლადიმერ ალტეხოვმა განაცხადა, თუ სადისციპლინო კომიტეტი დაქვითულს არ აღგვიდგენს, მაშინ საქმეს განსახილველად უზენაეს სასამართლოს გადავცემთო.

იტალია

II ტური

ბრეშია 3:3 სამპდორია

ბრეშია: ჩერვონე, ვ. ფილიპინი, კოზმინსკი (რომანო 60), დიანა, ადანი, სავინო, დე პაოლო, ა. ფილიპინი (სპეკუ 75), ბანინი, ნერი (ბაროლო 60), პუბნერი

სამპდორია: ფერონი, ლეონი, ბალერი, მიხაილოვიჩი, მანინი, ფრანჩესკუტი, ბოლოსიანი, ვერონი (სკარჩილი 24), კლინსმანი, მორალესი (ვერგასოლა 83), მონტელა

1:0 პუბნერი (3), **1:1** ბოლოსიანი (54), **1:2** მონტელა (75), **2:2** პუბნერი (76), **2:3** მონტელა (80), **3:3** პუბნერი (81)

გაფრთხილება: ვ. ფილიპინი, სავინო, დე პაოლა, ა. ფილიპინი

პარმა 2:2 ატალანტა

პარმა: ბუფონი, ზე მარია, ტურამი, კანავარო, ბენარივო, ორლანდინი (კრეპა 60), ფიორე, სენსინი, სტრადა (კრეპა 65), მანიერო, კიეზა

ატალანტა: ფონტანა, ფოლიო (ენგლარო 66), მირკოვიჩი, კარერა, სოტილი, კარბონე (მუტარელი 90), სგრო, გალო, ბონაჩინა, კაჩა, ლუკარელი (როსინი 80)

0:1 ლუკარელი (20), **1:1** მანიერო (29), **2:1** სტრადა (35), **2:2** ლუკარელი (62)

გაფრთხილება: ფოლიო, კარბონე, სგრო

ბოლონია 2:4 ინტერი

ბოლონია: ბრუნერი, პაგანინი, ტორიზი (პავონე 71), მანგონე, ნერვო, მაგონი (ბრამბილა 71), მაროკი (შალიმოვი 77), პარამატი, კოლივანოვი, ანდერსონი, რ.ბაჯო

ინტერი: პალიუკა, ვესტი, ბერგომი, გალანტე, მეცანო, ძანეტი, ფრეზი (კუე 80), სიმონე, ჯორკაეფი (რეკობა 84), რონალდო, განეი (მორიერო 77)

0:1 გალანტე (12), **0:2** განეი (38), **1:2** ბაჯო (44), **1:3** რონალდო (52), **2:3** ბაჯო (58 პ), **2:4** ჯორკაეფი (66)

გაფრთხილება: მაგონი, პავონე, ვესტი, გალანტე, მეცანო

პაველ-პაოლო შეიბნენ...

— ძლიერ გამეხარდა. მის გოლს კარგა ხანია, ველოდი. მართალი გითხრათ, თავიდან შეეშფოთდი, მაგრამ მალე მივხვდი, რომ არჩევანში არ შეემცდარვარ. იგი სწორედ ის ფეხბურთელია, ჩვენ რომ გვჭირდება — განაცხადა შეხვედრის შემდგომ „ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ, ვისაც რონალდოს „ბარსელონიდან" გადაბირება 28 მილიონი დოლარი დაუჯდა. 20 წლის, მაგრამ უკვე მსოფლიოს უძვირფასესმა ფეხბურთელმა „ბოლონიასთან" მატჩი ნაღდად ძლიერად ითამაშა. რაც შეეძლო (მას კი ძალიან ბევრი რამ შეუძლია), ყველაფერს აკეთებდა და თანაგუნდელთა წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა. მისი პირველი იტალიური გოლიც მცველთა შორის ჩვეულ განავარდებას მოაყოლა. 50-ე წუთზე ერთი კვირის წინანდელ თანაგუნდელს, ახლა კი „ბოლონიაში" გადაბარგებულ მასიმო პაგანინს თავბრუ დაახვია და არც მეკარე ბრუნერის მოტყუება გასჭირვებია. მისი დარტყმის შედეგ ანგარიში 3:1 გახდა სტუმართა სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ პირველი ტურის შემდეგ, სადაც „ინტერმა" ძლივს დამარცხა „ბრეშა", კლუბის მწვრთნელს ჯიუჯი სიმონის მძაფრად აკრიტიკებდნენ შემტევეთი სტილის უარყოფისთვის, ბოლონიაში კი „ნაპოლის" ყოფილმა თავკაცმა მოშურნეთა ჯიბრზე ძირითადში ერთბაშად სამი თავდამსხმელი — რონალდო, განეი და ჯორკაეფი გააშწესა და შედეგიც შესაბამისი მიიღო. ამ გამარჯვებით თვით გაუღიმარი მორატიც აღფრთოვანდა და მწვრთნელის მიმართ საქებარი სიტყვებიც დასცდა. „ინტერმა" ლიდერობა იგდო ხელთ, „ბოლონიამ" კი მეორედ წააგო. გუნდი განადგურებისგან რობერტო ბაჯომ იხსნა — ერთხელ ჯარიმიდან შეაგდო, მეორედ — პენალტით, რითაც სერია A-ში შეგდებულ გოლთა რიცხვი 130-მდე აიყვანა. დამარცხებულთა თავკაცმა რენცო ულივიერიმ გული არ გაიტეხა — ყველაფერი წინაა, ჩვენს ძალასაც დაგანახებთო. რონალდოზე კი თქვა — რა ვქნათ, ვერ მოვკლავდით, სხვაგვარად კი ვერ ვაჩერებდითო. „ინტერის" პირველი გოლი გალანტემ შეაგდო და 1994-95 წლების სეზონის შემდეგ მისთვის ეს პირველი გოლი იყო.

არანაკლებ საინტერესო მატჩი გაიმართა ფლორენციაში, სადაც „ფიორენტინამ" „ბარი" სძლია. მასპინძელთა გასახარად, კვლავ გაიღაღა ბატისტუტამ, რომელიც ზაფხულში, ექვსწლიანი ფლორენციული კარიერის შემდეგ, სხვაგან გადასვლას ლამობდა. პირველი გოლი არც ისე შთამბეჭდავი გამოდგა — მხოლოდ საგოლედ დაამატა. აი, მეორე კი ძალიან ლამაზი გამოვიდა. ტიფოზების მიერ „ბატი-გოლად" მონათლულმა დაახლოებით 20 მეტრიდან ბურთი ცოცხალ კედელს შემოაევლო და ცხრიანში

REUTERS ფლორენციიდან

ბატისტუტამ ორ ტურში ხუთი გოლის გატანა მოასწრო

შეჭედა. ორი მატჩის ჯამში გაბრიელმა უკვე ხუთი შეაგდო, შარშანდელ სეზონში კი ამდენივეს გატანას 11 მატჩი მოანდომა. მოკლედ, არგენტინელმა გუნდისთვის ბლომად იშრომა, ბევრი ოფლიც ღვარა. მადლიერმა ფლორენციელებმა კი გარჯა დაუფასეს და მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც შერაცხეს. „ფიორენტინას" მესამე გოლი რუსმა ანდრეი კანჩელსკისმა გაიტანა — პირველი სერია A-ში, რაც „ევერტონიდან" აპენინებზე გადაბარგდა. მთლიანობაში „ფიორენტინამ" კარგად კი ითამაშა, მაგრამ მთავარი მწვრთნელის აღბერტო მალესანის მახვილ თვალს ხარვეზები არ გამოჰპარვია. აკი განაცხადა კიდეც — „ფიორენტინა" კარგი გუნდია, მაგრამ შესაძლებლობების მხოლოდ 60 პროცენტს ავლენსო. შეგახსენებთ, რომ მალესანი შარშან სერია A-ში გადასულ „ვერონას" წვრთნიდა.

ამ დღეს პირველ ტურში ნამარჯვი კიდევ ორი გუნდი ხვდებოდა ერთმანეთს. „რომაც" და სკუდეტოს მატარებელი „იუვენტუსიც" პირველ ტურში მოგებულნი იყვნენ, მაგრამ ამჯერად ვერც ერთმა გადაწონა. საერთოდ შეხვედრა ლაღი და ლამაზი გამოდგა. მეტოქეები თავდაცვაზე ფიქრს არ გადაჰყოლიან, თუმცა მაინც ფხიზლად იყვნენ. პირველი ტაიმი მეორისგან დიდად არ განსხვავდებოდა — სახიფათო მომენტები ორივეში ჭარბად იყო. ანჯელო პერუციმაც და დედაქალაქელთა ავსტრიელმა მეკარემ მიხაელ კონსელმაც მეტად საიმედოდ ითამაშეს და თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, ზედიზედ ორ-ორი დარტყმა აუღეს შესაბამისად ფილიპო ინძაგის და ფრანჩესკო ტოტის. შეხვედრა თავდანყე ტურის ცენტრალურ მატჩად ითვლებოდა

ვიჩენცა 3:2 პიაჩენცა

ვიჩენცა: ბრივიო, ვივიანი, ბელოტი, დიკარა, კოკო, სკენარდი (ფირმანი 88), ბარონიო, დი კარლო, ამბროზეტი (ბეგეტო 71), ლუიზო, დი ნაპოლი (მენდესი 65)

პიაჩენცა: სერენი, პოლონია, ვერხოვოდი, დელი კარი, ტრამეძანი, ბორდინი (ვალტოლინა 58), სკიენეა (რასტელი 68), მაცოლა, პიოვანელი, მურჯიტა, პიოვანი

0:1 ტრამეძანი (29 პ), **1:1** დი კარლო (33 პ), **2:1** ლუიზო (52), **3:1** დი ნაპოლი (60), **3:2** ვალტოლინა (70)

გაფრთხილება: ამბროზეტი, პოლონია, ტრამეძანი, პიოვანელი

გაძევება: ბარონიო (63)

მილანი 1:1 ლაციო

მილანი: ტაიბი, ციგე, მალდინი, კრუზი, კოსტაკურტა, ლეონარდო (ბოგარდი 53), დესაი, ალბერტინი, ბა (ბობანი 53), ვეა, კლუივერტი (დევიდსი 89)

ლაციო: მარკეზანი, ფავალი, პანკარო, ნესტა, ლომესი, იუგოვიჩი (ვენტურინი 81), ალმეიდა (ნედვედი 46), ფუზერი, კაზირაგი, მანჩინი, ბოკჩი (სინიორი 36)

1:0 ბა (38), **1:1** სინიორი (94 პ)

გაფრთხილება: ციგე, დევიდსი, ნედვედი

ფიორენტინა 3:1 ბარი

ფიორენტინა: ტოლდო, ფირიკანო, ფალკონე (ბეტარინი 81), კანჩელსკისი (დიონიჯი 77), კოისი, რუი კოშტა, სერენა, ოლივიერა, ბატისტუტა, რობიატი (ჯ. ამოროზო 65)

ბარი: მანჩინი, სორდო (ზამბროტა 38), ნეგრუ, რიპა, სალა, ბრესანი, ვოლპი (სასარინი 53), ინგესონი (დე ასკენტისი 82), მანიგეტი, მასინგა, ვენტოლა

1:0 ბატისტუტა (1), **1:1** ვენტოლა (2), **2:1** ბატისტუტა (11), **3:1** კანჩელსკისი (39)

გაფრთხილება: ბატისტუტა, ინგესონი, მანიგეტი, სასარინი

გაძევება: მასინგა (75)

ნაპოლი 2:1 ემპოლი

ნაპოლი: ტალიალატელა, მ. კონტე, აიალა, ფ. ბალდინი, სერჯო, მ. ფასეზიტი (ფრუნიე 77), ბელუჩი, ფაკი, როსიტო, ლონგო (ალტომარე 85), პროტი (სბრიზი 94)

ემპოლი: პაგოტო, ფუსკო, დ. ბალდინი, ბანკონი, ტონეტო, მარტინი (ამეტრანო 49), პანე (არტიკო 87), ფიკინი, მარტუსკელო (როკატი 80), კაპელინი, კ. ფასეზიტი

1:0 ბელუჩი (32), **2:0** პროტი (48), **2:1** კ. ფასეზიტი (76)

გაფრთხილება: ფ. ბალდინი, დ. ბალდინი, ბანკონი

გაძევება: ბელუჩი (67), პაგოტო (80)

ლეჩე 1:2 უდინეზე

ლეჩე: ლორიერი, საკიჩი, ვიალი, კიპრიენი, ანონი, როსი (კონსტანტინო 70), პიანგიერელი, კოკა (დი ფრანჩესკო 34), კასალე, მასპერო, პალმიერი

უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, ბია, ბაკინი, პიერინი, ჯანიკედა, ვალემი, კაპიოლი, იორგენსენი (ორლანდო 21), ბირჩოფი, ლოკატელი (ლასალანდრა 70)

0:1 ბაკინი (1), **0:2** ლოკატელი (59), **1:2** პალმიერი (60)

გაფრთხილება: ვიალი, პალმიერი, პიერინი, ბირჩოფი

გაძევება: კიპრიენი (57)

რომა 0:0 იუვენტუსი

რომა: კონსელი, კაფუ, ალდაირი, პეტრუციი, კანდელა, ვაგნერი (ტომაზი 59), დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო, გაუტიერი (დელვეკიო 80), ბალბო, ტოტი (ჯ. სერჯო 75)

იუვენტუსი: პეროუციი, ბირინდელი, ფერარა, მონტერო, დიმაში, კონტე, ზიდანი (პეკია 59), დეშამპი, დი ლევიო (ტაკინარდი 87), ინძაგი, პადოვანო (ამორუზო 71)

გაფრთხილება: პეტრუციი, ტომაზი, ფერარა, მონტერო, ამორუზო

და ასეც დარჩა. „რომას" თავკაცმა ზდენეკ ზემანმა შედეგი დადებითად შეაფასა, ორივე მეკარის თავდადება აღნიშნა, მაგრამ თავის გუნდს თამაში ვერ მოუწონა.

„ვიჩენცასა" და „პიაჩენცას" გაგონებაზე კაცს იტალიური ფეხბურთის მაჩანჩალები გაგახსენდება, მაგრამ ამ არც ისე მქუხარე სახელების მქონე გუნდების თამაშშიც იყო აღსანიშნავი მოვლენები — დამარცხებულთა რიგებში პირველად ითამაშა ფეხბურთისთვის მხცოვანმა, 38 წლის პეტრო ვერხოვოდმა. ამ ასაკოვანი მცველის კარიერა თითქმის 25 წელიწადს მოიცავს. პირველი ოფიციალური მატჩი მან 1975 წელს ჩაატარა ქვედალიგელ „რომანეზეს" შემადგენლობაში, 1980 წელს კი „სამპდორიას" შემადგენლობაში სერია A-ში მოსინჯა ძალები. მას შემდეგ თორმეტი წელი გენუელთა ერთგული იყო, მერე კი „კომო", „ფიორენტინა", „რომა", „იუვენტუსი", „პერუჯა" და „მილანი" შემოიარა. სისუსტე რომ იგრძნო, ბობოლა გუნდებში სათადარიგოების სკამის ხეხვას, შედარებით პატარა გუნდებში თამაში არჩია. ისე, პეტროზე ასაკოვანს ლიგაში მხოლოდ დინო ძოფს უთამაშია, რომელმაც „იუვენტუსის" კარი ბოლოჯერ 41 წლისამ დაიცვა.

ეს, რაც შეეხებოდა კვირას გამართულ მატჩებს, ერთი დღით ადრე კი „მილანი" — „ლაციოს" ფრედ დამთავრებული შეხვედრა შედგა, რომლის შედეგმაც, კონკრეტულად კი ბოლო წამებზე ტაიბის კარში დანიშნულმა პენალტმა, მასპინძლები ძლიერ აღაშფოთა. შეხვედრის არბიტრმა ჩეკარინმ მესამე დამატებულ წუთზე პაოლო მალდინის უხეშობის გამოვლინება დაუფიქსირა სტუმარი ნედვედის მიმართ და პენალტიც დანიშნა, რომლის წყალობითაც სინიორიმ თავისიანები მარცხისგან იხსნა. თავად დამნაშავედ შერაცხულმა პაოლომ თავი იმართლა — მე მოვალეობას ვასრულებდი, მასთან სულაც არ მიუხეშია, თავად წამოდგა ჩემს ფეხსო. კაპიტანს მხარი დემიტრიო ალბერტინიმაც დაუჭირა — ეგ ჩვენს საკარიმოში რაღაც საეჭვოდ დარბოდა, ნაღდად პროვოკაციას გვიწყობდა, აკი შეაცდინა კიდეც მსაჯიო. თავად ნედვედმა კი განაცხადა, მალდინიმ ნაღდად წამაქცია, პენალტიც აშკარა იყო, რადგან ბურთი მე მჭირდა და ის-ის იყო, დარტყმას ვაპირებდიო. გოლგაშვებულმა ტაიბიმაც თქვა: საერთოდ მსაჯებზე საუბარი არ მიყვარს, მაგრამ იმდენად აღმაშფოთა სინიორ ჩეკარინის მოქმედებამ, კინაღამ ერთი-ორჯერ ხმამაღლა შევუკურთხეო. ფეხბურთელთა წუწუნს ბოლო კაპელომ მოუღო — ბიჭებო, რაც მოხდა, მოხდა, ვერაფერს შეცვლით, მთავარია, გული არ გავიტეხოთ, წინ მთელი სეზონი გველისო.

მართლაც წინ კიდევ 32 ტურია.

ვალდანოს თვლა აერია

გაჭირვებულ კაცს ქვა ალმართში დაეწვაო, სწორედ ისეა „ვალენსიას" საქმე — მან ჩემპიონატის სამივე საწყისი თამაში წააგო, ახლა კი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციისგან შესაძლოა სასჯელი მიიღოს.

ბოლო ტურში, სანტანდერში „რასინგთან" 1:2 წაგებულ მატჩში, სტუმართა მწვრთნელმა ხორხე ვალდანომ 62-ე წუთზე ფერნანდო კასერესის ნაცვლად მარსელინო კარიოკა შეუშვა. ორ წუთში მსაჯი ხოსე ლოსანტოსი მიხვდა, რომ „ვალენსიას" რიგებში დაშვებულზე ერთით მეტი, ანუ ხუთი უცხოელი (იგულისხმება არაევროკავშირელი) თამაშობდა, ამიტომ მან შეხვედრა შეაჩერა და ვალდანოს ერთი უცხოელის გაყვანა მოსთხოვა. არგენტინელმაც იუგოსლავიელ მიროსლავ ჯუკიჩს დაატოვებინა მინდორი. „ვალენსიამ" ეს შეხვედრაც წინა ტურის მსგავსად, კაცნაკლულმა დაასრულა.

REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — დეპორტივო სონი ანდერსონს მეორე გოლი გააქვს სტუმართა კარში

ცხადია, საქმე ზემო ინსტანციებში გაირჩევა. სავარაუდოდ, „ვალენსიას" 1:2 მარცხს 0:3-ით შეუცვლიან და გვარიანი თანხითაც დააჯარიმებენ. თავად ვალდანოს კი, ალბათ, 3 ათასიდან 13 ათასამდე დოლარის ვადახდა მოუწევს. დამნაშავემ თავი იმართლა, იმ დროს ლეგიონერებზე კი არა, ფეხბურთზე ვფიქრობდი, მარცხისგან თავის დაღწევა მეწადაო.

ეს ვალდანოსთვის პირველი შემთხვევა როდია — 1993-94 წლების სეზონში, როცა მადრიდის „რეალი" ოთხწლიანი შესვენების შემდეგ ესპანეთის ჩემპიონი გახდა, ერთ-ერთ ტურში „კომპოსტელასთან" თამაშისას ივივე დაემართა.

ამასობაში ესპანელებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ძირეგი მატჩისთვის დაიწყეს მზადება. 24 სექტემბერს ისინი სლოვაკებს ხვდებიან. ხავიერ კლემენტემ 18-კაციან ნაკრებში მადრიდის „ატლეტიკოს" მცველებს — კარლოს აგილერას და სანტის დაუძახა, რომლებიც ადრე არასდროს მიუწვევია. კლემენტემ მათი ნაკრებში გამოძახება ინერციით ახსნა — ახლადგაშენებულ ნაკრებში ძალიან თამაშობენო. ესპანეთის ნაკრებში კიდევ ერთი ახალწვეული — „ატლეტიკოს" ოლივერიო ალვარესი. გუნდში არ არიან ტრავმირებული ხოსეპ გვარდიოლა და აბელარდო ფერნანდესი, რომელიც ფორმიდან ამოვარდა. კლემენტეს რჩეულთა სია დღესდღეობით ასეთია: მეკარეები — ანდონი სუბისარეტა (ვალენსია), სანტიაგო კანისარესი (რეალი); მცველები — კარლოს აგილერა, სანტი (ატლეტიკო), რაფაელ ალკორტა, რობერტო რიოსი (ბილბაო), სერხი, ალბერტ ფერერი, მიგელ ანხელ ნადალი (ბარსელონა), ფერნანდო იერო (რეალი); ნახევარმცველები — გილერმო ამორი, ლუის ენრიკე (ბარსელონა), ხოსე ამავისკა (რეალი); თავდამსხმელები — ალფონსო პერესი, ოლივერიო ალვარესი (ბეტისი), ხუან პიცი (ბარსელონა), რაული (რეალი), კიკო (ატლეტიკო).

უკრაინა

მე-11 ტური: კარპატი — ვორსკლა 2:1, პრიკარპატიე — შახტიორი 0:2, ჩერნომორეცი — ნივა 1:1, ზირკა-ნიბასი — ტავრია 2:1, მეტალურგი (დონეცკი) — მეტალურგი (ზაპოროჟიე) 3:2, ცსკა — მეტალურგი (მარიუპოლი) 1:0, ტორპედო — კრივბასი 0:3

დინამო	8	8	0	0	24:2	24
შახტიორი	9	7	0	2	21:9	21
ნივა	10	6	1	3	17:8	19
კარპატი	11	5	2	4	9:11	17
მეტ. (დონეცკი)	10	4	5	1	11:6	17
დნეპრი	8	5	1	2	17:6	16
ვორსკლა	10	5	1	4	15:18	16
პრიკარპატიე	11	4	2	5	19:17	14
ჩერნომორეცი	10	4	2	4	14:12	14
ცსკა	11	4	2	5	12:12	14
მეტ. (ზაპოროჟ.)	9	4	1	4	16:15	13
ზირკა-ნიბასი	11	4	1	6	13:21	13
კრივბასი	11	3	3	5	9:12	12
ტავრია	10	3	1	6	13:15	10
მეტ. (მარიუპ.)	10	1	2	7	7:26	5
ტორპედო	10	0	2	8	3:26	2

ნორვეგია

22-ე ტური: ტრომსო — ლილესტრიომი 1:3, პაუგესუნდი — სტრომსგოდსეტი 1:1, კონგსვინგერი — ბრანი 4:6, ლინი — სკეიდი 2:0, რუსენბორგი — ვიკინგი 2:2, სოგნდალი — მოლდე 3:3, სტაბეკი — ბოდო გლიმტი 1:1

რუსენბორგი	22	15	6	1	72:16	51
სტაბეკი	22	12	4	6	29:28	40
სტრომსგოდ.	22	12	3	7	51:36	39
მოლდე	22	11	6	5	38:31	39
ბრანი	22	11	5	6	46:33	38
ბოდო გლიმტი	22	9	5	8	32:27	32
ვიკინგი	22	7	9	6	36:27	30
ლილესტრიომი	22	8	5	9	31:37	29
კონგსვინგერი	22	8	5	9	33:43	29
ტრომსო	22	6	9	7	35:35	27
პაუგესუნდი	22	6	5	11	23:34	23
სოგნდალი	22	5	5	12	28:51	20
ლინი	22	3	5	14	23:48	14
სკეიდი	22	3	4	15	26:57	13

დანია

მე-8 ტური: ფრიმადი — ჰერფოლგე 1:2, აბ — ოლბორგი 2:0, იკასტი — სილკებორგი 2:2, ლუნგბიუ — კოპენჰაგენი 0:4, ვაილე — ოდენსე 2:0, ბრონდბიუ — ორჰუსი 2:2

კოპენჰაგენი	8	6	2	0	22:9	20
სილკებორგი	8	5	3	0	14:7	18
ბრონდბიუ	8	5	0	3	21:13	15
აბ	8	4	3	1	16:9	15
ვაილე	8	5	0	3	13:10	15
ლუნგბიუ	8	4	1	3	18:24	13
ოლბორგი	8	3	2	3	14:11	11
იკასტი	8	3	1	4	15:19	10
ჰერფოლგე	8	2	1	5	10:21	7
ორჰუსი	8	2	0	6	11:15	6
ფრიმადი	8	1	1	6	13:20	4
ოდენსე	8	0	2	6	5:14	2

საბერძნეთი

მე-2 ტური: ათინაიკოსი — ოლიმპიაკოსი 1:2, პანათინაიკოსი — აპოლონი 1:0, აეკი — პრუდეფტიკი 2:1, იონიკოსი — პანახაიკი 5:0, ირაკლისი — ვერია 3:0, ოფი — პაოკი 2:1, ეთნიკოსი — კავალა 2:0, ქსანტი — კალამატა 1:1. პანილიაკოსი — პანიონისი წუხელ გაიმართა

იონიკოსი	2	2	0	0	7:0	6
ირაკლისი	2	2	0	0	4:0	6
პანათინაიკოსი	2	2	0	0	3:0	6
ოლიმპიაკოსი	2	2	0	0	5:2	6
აეკი	2	1	1	0	2:1	4
ქსანტი	2	1	1	0	3:2	4
პანლილიაკოსი	1	1	0	0	2:1	3
პრუდეფტიკი	2	1	0	1	4:2	3
ოფი	2	1	0	1	3:3	3
ეთნიკოსი	2	1	0	1	3:3	3
ვერია	2	1	0	1	4:5	3
პაოკი	2	0	1	1	1:2	1
კალამატა	2	0	1	1	2:3	1
პანიონისი	1	0	0	1	0:3	0
აპოლონი	2	0	0	2	0:2	0
კავალა	2	0	0	2	2:6	0
ათინაიკოსი	2	0	0	2	1:5	0
პანახაიკი	2	0	0	2	0:6	0

წაფორხილება გამორიცხულია

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ორტმუნდის „ბორუსია“ ჩემპიონთა თასის მფლობელის ტიტულის დაცვას იმ ორი ფეხბურთელის გარეშე დაიწყებს, რომელთა გოლების წყალობით გასულ მაისში ტურნირის აშკარა ფავორიტი — ტურინის „იუვენტუსი“ დაამარცხა. კარლ-ჰაინც რიდლე, რომელმაც მიუნხენში ფინალურ მატჩში ორი გოლი გაიტანა, „ლივერპულში“ გადავიდა, მესამე, ეფექტური ბურთის ავტორი ლარს რიკენი კი მატჩს ყვითელი ბარათების გამო გამოტოვებს. თურქეთის „გალათასარაისთან“ დორტმუნდელებს ძირითადი შემადგენლობის თითქმის ნახევარი არ ეყოლებათ. დაშავებულები არიან შტეფან როიტერი, მათიას ზამერი და ანდრეას მიოლერი, ვერ ითამაშებს პაულუ სოუზაც. ასე რომ, ახალ მწვრთნელ ნევიო სკალას თურქებთან მატჩის წინ საფიქრალი ბლომად აქვს. მით უმეტეს, რომ სტამბული თავისი მტრული ატმოსფეროთი საყოველთაოდაა ცნობილი.

ჩემპიონთა თასი იოლად მოსაგები არასოდეს ყოფილა, მაგრამ წლეულს შეჯიბრი კიდევ უფრო გართულდა — 16-ის ნაცვლად 24 გუნდი იასპარეზებს, რომელთა შორის ძლიერი საფეხბურთო ქვეყნების მეორეადგილოსნებიც არიან. მეოთხედფინალში მხოლოდ ექვსი ჯგუფის გამარჯვებულები მიიღებენ ავტომატურად ადგილს, მათ მეორე ადგილის მფლობელთაგან ორი საუკეთესო შეუერთდებათ. ეს, როგორც „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი თვლის, წაფორხილების უფლებას აღარ ტოვებს: „შარშან მეოთხედფინალში ისე გავედით, რომ ექვსი თამაშიდან სამი წავაგეთ, მაგრამ ახლა მიზნის მიღწევა გაცილებით რთული იქნება“. „იუნაიტედი“, რომელიც პირველად და უკანასკნელად ევროპის ჩემპიონთა თასს 1968 წელს დაეპატრონა, პირველ მატჩს სლოვაკეთის „კოშიცესთან“ ჩაატარებს და, დორტმუნდელთა მსგავსად, ბევრ ფეხბურთელს მოსაკლისებს. რაიან გიგზი ორშაბათს დაშავდა და გუნდის ლაზარეთს შეემატა, რომელშიც მანამდე ტედი შერინგემი, დევიდ მეი, ჯორდი კრუიფი და ტერი კუკი ირიცხებოდნენ, ოლე გუნარ სოლსკიაერი კი მანჩესტერელებს გაფრთხილებების გამო გამოაკლდებათ.

სამაგიეროდ, შარშანდელ ტურნირში „იუნაიტედის“ ორჯერ მძლეველი „იუვენტუსი“ როტერდამის „ფეიენოორდთან“ საგარეო შეხვედრამდე ბოლო ხანებში ტრავმირებულ ალესანდრო დელ პიეროს დამატებს. ბოლო 15 წლის განმავლობაში პირველად იასპარეზებს ჩემპიონთა თასზე ლისაბონის „სპორტინგი“. პორტუგალიელებმა წლევანდელი ჩემპიონატი ცუდად დაიწყეს, ბოლო ტურში გიმარაეშის „ვიტორიასთან“ 0:1 დამარცხდნენ და მუხლის ტრავმის გამო ოთხშაბათის მატჩში „მონაკოსთან“ შესაძლოა ბულგარელი თავდამსხმელი ივაილო იორდანოვიც დააკლდეთ.

ყველაზე დიდ ინტერესს კი პირველი ტურის შეხვედრებში ესპანეთისა და ინგლისის ვიცე-ჩემპიონების — „ბარსელონასა“ და „ნიუკასლის“ მატჩი იწვევს, რომელიც „სენტ ჯეიმსიზ პარკის“ სტადიონზე შედგება.

მაიკ კოლეტი

ვლატინიმ მთავრობა დატშმსა

შაბათ-კვირას მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქმეებით ერთობ დაკავებულმა მიშელ პლატინიმ საჯარო დისკუსიებისთვისაც მოიცალა და ორ საკითხზე თავისი მოსაზრება შეაშველა საზოგადოებას.

თავის დროზე ევროპის ზედიზედ სამგზის საუკეთესო ფეხბურთელმა შაბათს პროფესიონალი მსაჯების შესახებ ისაუბრა. ამის თაობაზე ფიფას გენერალური მდივანი ზეპ ბლატერი კარგა ხანია, ლაპარაკობს, ერთი კვირის წინ კი მას „არსენალის“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმაც დაუჭირა მხარი. არსენის თქმით, რაც დრო გადის, მატჩების რაოდენობა და დაძაბულობა სულ უფრო და უფრო იზრდება. ცხადია, მსაჯებსაც საქმე ემატებათ, ამიტომ მაღალი დონის მსაჯობისთვის უნდა შეიქმნას პროფესიონალ მსაჯთა ასოციაცია. მასში შემავალ სხვადასხვა ქვეყნის წარგზავნილებს მატჩების განსჯის გარდა არაფერი მოეთხოვებათ. თანამემამულეს პლატინიც დაეთანხმა. მიშელმაც თითქმის იგივე გაიმეორა, ბოლოს კი დასძინა, როგორც პროფესიონალ ფეხბურთელს მხოლოდ თამაშზე ფიქრი და კონცენტრაცია მოეთხოვება, სწორედ ასე უნდა ჰქონდეთ მსაჯებს საქმე აწყობილიო.

პლატინიმ საჯაროდ გამოსვლა არც კვირას დაიზარა და ამჯერად მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე, კერძოდ, ტურნირისთვის გამოშვებული ბილეთების გასაღების საკითხზე ისაუბრა. ორგანიზატორებს ბილეთების გაყიდვა კი არ უჭირთ, პირიქით, შეკვეთებს ვერ აკმაყოფილებენ, მაგრამ საქმე ფასებში ყოფილა. ბილეთების ადრე გამოცხადებული სავარაუდო ფასების შესახებ უკვე გაცნობეთ. ახლა კი პლატინის და მთელი საორგანიზაციო კომიტეტის წინაშე კიდევ ერთი პრობლემა დამდგარა — შესაძლოა, მათ ბილეთების ფასი გააძვირონ, რადგან საგადასახადო ინსპექციას წამოუყენია თავი, საფრანგეთის კონსტიტუციის ამა და ამ თავების და მუხლების თანახმად შემოსავლის გარკვეული (საკმაოდ დიდი) პროცენტი ჩვენ უნდა წავიღოთო. პლატინიმ საქმეში ქვეყნის სპორტის მინისტრი **მარი ჟორჟ ბუფე** ჩარია, იქნებ საქმე მოაგვაროო, თავად კი ტელევიზიით გამოვიდა და მთავრობას გონიერებისკენ მოუწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალკე დუბლებით იწყებს

UEFA CUP

უეფას თასის პირველ წრეში, რომელიც დღეს ჩატარდება, ყველაზე მეტი წარმომადგენელი საფრანგეთს ეყოლება. ინტერტოტოს შესარჩევ ტურნირზე სხვა საფეხბურთო გრანდებმა — იტალიამ, ესპანეთმა და ინგლისმა გუნდების გაგზავნა არ იკადრეს, საფრანგეთმა კი ამის მეშვეობით „ნანტს“, „ბორდოს“, „სტრასბურსა“ და „მეცს“ კიდევ სამი — „ოსერი“, „ბასტია“ და „ლიონი“ მიუმატა. საფრანგეთს მით უფრო სურს წარმატებულად გამოსვლა, რომ ევროთასებიდან უეფა ერთადერთია, არც ერთ ფრანგულ გუნდს რომ არ მოუგია. „ბასტია“ და „ბორდო“, რომლებმაც ფინალს 1978 და 1996 წლებში მიაღწიეს, კვლავაც შეეცდებიან წარმატების გამეორებას, მაგრამ ფავორიტებად ისინი პირველ წრეშიც კი არ ითვლებიან, რადგან წილისყრამ შესაბამისად „ბენფიკასა“ და „ასტონ ვილას“ შეახვედრა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „სტრასბურის“ მეტოქე „გლაზგო რეინჯერსია“, „ოსერისა“ კი — „დეპორტივო“, ფრანგებს, სავსებით შესაძლებელია, მეორე წრისთვის გაცილებით ნაკლები კლუბი შერჩეთ.

პირველ წრეში რამდენიმე შეხვედრა იწვევს ინტერესს. დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი „ლივერპულსა“ და გლაზგოს „სელტიკს“ შორის. ევროტურნირებზე ესენი ბოლოს 31 წლის წინ, თასების მფლობელთა თასზე შეხვედრიან ერთმანეთს. ორ შეხვედრას მაშინ 135 000 მაყურებელი დაესწრო და „ლივერპულის“ საერთო გამარჯვებით დასრულდა — 2:1.

ასევე ინტერესით ელიან გენუის „სამპდორიისა“ და ბილბაოს „ატლეტიკის“ დუელს. იტალიური კლუბის არგენტინელმა მწვრთნელმა სეზარ ლუის მენოტმ თავისი გუნდის ბოლო თამაშით (ფრე „ბრეშიასთან“ 3:3) უკმაყოფილება გამოთქვა და დასძინა, „ატლეტიკი“ გამოცდილი კლუბია და დაცვაში შეცდომას არ გვაპატიებსო. ესპანელებს პირველ მატჩში რაფაელ ალკორტა და ხოსეპ სიგანდა დააკლდებათ, მაგრამ „ატლეტიკის“ ფრანგი მწვრთნელი ლუის ფერნანდესი გენუაში დამარცხებას ნამდვილად არ აპირებს.

გასული წლის ფინალისტი — მილანის „ინტერი“ წლეულსაც ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. ბრაზილიელი რონალდოს დამატებამ და ნიგერიელი ნვანკვო კანუს გამოჯანმრთელებამ მილანელები კიდევ უფრო გააძლიერა. „ინტერს“ პირველ მატჩში დააკლდება ერთი ახალწვეული — არგენტინელი დიეგო სიმონე, მაგრამ შეეცარიელ „ქსამაქსს“, ალბათ, ესეც ვერაფრით წაადგება.

თასის შარშანდელი მფლობელი „შალკე“ კი პირველ თამაშს სპლიტის „ჰაიდუკთან“ მნიშვნელოვნად შესუსტებული შემადგენლობით ჩაატარებს: მეკარე იენს ლემანს, მცველ ოლაფ ტონსა და ბელგიელ ნახევარმცველ მარკ ვილმოტს გაფრთხილებების გამო მატჩის გამოტოვება მოუწევთ, ძირითადი თავდამსხმელები — ჰოლანდიელი იური მულდერი და მარტინ მაქსი კი დაშავებულები არიან.

ფრანსუა ტომაზო

დიეგოს შეგონებანი

კვირას დიეგო ფეხბურთს დაუბრუნდა. ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ! დაბრუნდა, გოლიც გაიტანა, მაგრამ საბოლოოდ მისი მოკვეთა-არმოკვეთის საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. სასამართლომ არგენტინის ფეხბურთის ასოციაცია დაავალდებულა, დიეგოსთვის თამაშის უფლება მიეცა და ისიც მართლმსაჯულთა ნებას დაჰყვა. დიეგომ, პირველი ტურის დარად, „ნიუელს ოლდ ბოისს“ პენალტიც გაუტანა და „ბოკა ხუნიორსის“ 2:1 გამარჯვებაში ლომის წილიც დაიდო. თუმცა, მეორე ნახევრის შუაგულში დამავდა და შესაცვლელი გახდა.

ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილება მარადონას დისკვალიფიკაციის თაობაზე თითქოს იმდენად მკაცრი იყო, წყალი არ გაუვიდოდა, მაგრამ დიეგოს ადვოკატებმა სასამართლოში აპელაცია შეიტანეს და მათი კლიენტის დასჯაც საქმის საბოლოო განხილვამდე გადაიდო.

თავად დიეგო კი, რომელმაც ორივე შვილი დაიფიცა, ნარკოტიკებს კარგა ხანია ზურგი ვაქციეო, მუყაითად ვარჯიშობს და დიდი იმედი აქვს, რომ დისკვალიფიკაციას მოუხსნიან. აკი განაცხადა კიდეც, ფეხბურთიდან მაინც უნდა წავიდეო. მაგრამ იმ ხალხის გამკვირვებია, მე რომ მემტერება, ნეტავ ვის რა დავუშავეო. „იცით, უკვე მომბეზრდა ყველაფერი, რასაც ჩემზე წერენ. სმართლე რომ იყოს, არაფერს ვიტყოდი, მაგრამ ახლა უფრო მეტი ტყუილი იწერება, ეს კი გულს ძლიერ მტკენს. ვარჯიშის მერე, როცა გასახდელში შევდივარ, მუდამ ვკითხულობ, დოპინგზე უნდა შემამოწმონ თუ არა. მეტის ატანა აღარ შემძლია. მათ, ვისაც ჩემი ცუდი უხარია, მინდა ვუთხრა, რომ ბოროტების გამო ათმაგად მიეზღებათ.“

...აპელაცია კი სექტემბრის ბოლოს განიხილება.

შვედეთი

21-ე ტური: აიკი — ტრელებორგი 3:0, ლიუნგსკილე — ერებრუ 2:3, ოსტერი — ჰელსინგბორგი 0:0, ორგრიტე — გოტებორგი 1:3, მალმიო — ჰალშტადი 2:1

გიოტებორგი	21	13	5	3	42:25	44
ჰამშტადი	21	14	0	7	39:24	42
მალმიო	21	10	8	3	41:22	38
ჰელსინგბორგი	21	9	8	4	30:24	35
ერებრუ	21	10	5	6	36:31	35
აიკი	21	9	7	5	35:19	34
ელფსბორგი	20	10	3	7	37:26	33
ორგრიტე	21	9	5	7	25:26	32
ნორჩიოპინგი	20	6	5	9	21:27	23
ტრელებორგი	21	7	2	12	31:44	23
ვასტერასი	20	4	4	12	19:37	16
დეგერფორსი	20	3	6	11	22:37	15
ოსტერი	21	2	9	10	19:37	15
ლიუნგსკილე	21	3	5	13	26:44	14

იტალია

სერია B

მე-3 ტური. ანონა — ჯენოა 4:3; კალიარი — დი სანგრო 1:1; კიევო — სალერნიტანა 1:1; ფ. ანდრია — პესკარა 3:0; მონცა — ვენეცია 1:0; პადოვა — ვერონა 0:0; პერუჯა — ლუკეზე 1:0; რეჯანა — რავენა 1:1; რეჯინა — ტრევიზო 0:0; ტორინო — ფოჯა 1:1

პერუჯა	3	2	1	0	5:1	7
კალიარი	3	2	1	0	4:1	7
ანონა	3	2	1	0	6:4	7
ვენეცია	3	2	0	1	4:2	6
ფ. ანდრია	3	2	0	1	5:4	6
სალერნიტანა	3	1	2	0	4:2	5
დი სანგრო	3	1	2	0	3:2	5
მონცა	3	1	1	1	4:4	4
ლუკეზე	3	1	1	1	3:3	4
ტორინო	3	1	1	1	3:3	4
კიევო	3	1	1	1	2:2	4
რეჯანა	3	1	1	1	2:2	4
რეჯინა	3	1	1	1	1:1	4
ვერონა	3	1	1	1	3:4	4
რავენა	3	0	2	1	2:3	2
ტრევიზო	3	0	2	1	1:3	2
ფოჯა	3	0	1	2	2:4	1
პადოვა	3	0	1	2	1:3	1
ჯენოა	3	0	1	2	4:7	1
პესკარა	3	0	1	2	1:5	1

ორი მილიონი ცოტაა?

ხვალ „მონაკო“ ჩემპიონთა ლიგაში ჩაებმება, თუმცა, სანამ ფრანგები პორტუგალიის დედაქალაქში „სპორტინგს“ დაუპირისპირდებიან, მანამ „მარსელთან“ 2:0 მოგებული მატჩის თაობაზე მეტოქეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებს გაგაცნობთ.

ცხადია, ტიგანას ბიჭებმა ბოლო ტურში მნიშვნელოვანი მატჩი მოიგეს. ამიტომაც იყო ჟანი ესოდენ გახარებული. როგორც მან თქვა, გამარჯვება უფრო იმიტომ ახარებს, რომ იგი ძლიერ მეტოქესთანაა მოპოვებული. მეტოქე კი „მონაკოს“ მართლაც ძლიერი ჰყავდა. რონალდ კურბისის ბიჭებს წელს ჩემპიონობა თუ არა, პრიზიორობა შორის მოხვედრა ნამდვილად დაუსახავთ მიზნად. ეს კურბისმა ადრევე განაცხადა. მარსელელებმა ჩემპიონატი კარგად დაიწყეს, მერე კი ცოტათი აურიეს, „მონაკოსაც“ საოლე მომენტები დაასეტყვეს, მაგრამ დაგვირგვინებისას სცოდავდნენ, თანაც დიდებულად თამაშობდა ფაბიენ ბარტეზი. კურბისმა „მონაკოს“ გოლკიპერს საფრანგეთის პირველი მეკარე უწოდა და თავისი გუნდის მარცხის მთავარ მიზეზად დაასახელა. მეკარის ქება არც ტიგანას დაზარებია, ბოლოს კი, ტკბილი სიტყვებით რომ შეამკო, დასძინა, „მონაკოს“ კარს „სპორტინგთან“ სწორედ ბარტეზი დაიცავსო. ხვალინდელი მატჩის სავარაუდო მონაწილეებად ტიგანამ ბელგიელი ცენტრალური მცველი ფილიპ ლეონარდი, მისი კოლეგა მარტინ ჟეცუ საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ბომბარდირი დევიდ ტრეზეგი და ნიგერიელი ვიქტორ იკპება დაასახელა. მისივე თქმით, კარგი იქნება, თუ „მარსელთან“ მატჩის გმირი ალი ბენარბიაც გამოჯანმრთელდება. ბენარბიამ მოედანზე შესვლისთანავე დაატყო „მონაკოს“ ხელი, სწორედ მისი შესანიშნავი თამაშის წყალობით მოიგეს ჩემპიონებმა ის შეხვედრა. რაც შეეხება მომავალ მატჩს, ტიგანამ თქვა, მართალია, დროებით კრიზისს განვიცდით, მაგრამ ჩვენს საქმეებს უკეთესობის პირი უჩანს, ამიტომ ლისაბონში მიზნად მოგებას ვისახავთო. იქვე დაამატა, ორი მილიონი შეეცარიელი ფრანკი ცოტა ფული ხომ არ არისო!

მტირალა ბლაჟევიჩი

მიროსლავ ბლაჟევიჩი

ხორვატთა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში არასახარბიელო თამაშმა ნაკრების მთავარ მწვრთნელს მიროსლავ ბლაჟევიჩს, შესაძლოა, თანამდებობა დაუკარგვინოს. მას ადრეც არ ინდობდნენ, მაგრამ დინიელებთან მარცხის შემდეგ კრიტიკის უდიდეს ქარცეცხლში გაატარეს. ამით გულნატკენმა მწვრთნელმა ტელევიზიით გამოსვლისას ჟურნალისტებს მიმართა — კრიტიკა კიდევ ასატანია, მაგრამ ჩემი შეურაცხყოფა არაო. მისი თქმით, ამ გაჭირვების ჟამს ეროვნული გუნდი ყველამ მიატოვა ნაკრების წევრებისა და გუნდის წარმომადგენლების გარდა. ბოლოს ბლაჟევიჩმა კატეგორიულად განაცხადა, მავანთ სურთ თუ არა, დღესდღეობით ნაკრების მწვრთნელი მე ვარ და გუნდში ვინ ითამაშებს, ჩემი საქმეა, შედეგებზეც პასუხისმგებელი გახლავართო.

ბლაჟევიჩმა ნაკრებიდან უკვე დაითხოვა ოთხი ფეხბურთელი, მათ შორის, გუნდის ძირითადი მეკარე დრაჟენ ლადიჩი. მწვრთნელმა განაცხადა, მათ მნიშვნელოვანი თამაშების წინ დასვენება და ძალების მოკრება მართებთ, ამის მაგივრად კი შეკრებამდე ღამის კლუბებში დაეხეტებიან და უაზროდ იფიტებიანო.

ბავშვთა კვება

Gerber

ახალი სიცოცხლის
უმშვენიერესი დასაწყისი

ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული
ლიდერის გერბერის პატარა ქილებში
თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობაა

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

უეფას თასი. 1/32 ფინალი. პირველი მატჩები

16 სექტემბერი

დეპორტივო (ესპანეთი) — ოსერი (საფრანგეთი)	(1,3-2,8)	1,3	3,4	6,5
ზალცბურგი (ავსტრია) — ანდერლეხტი (ბელგია)	(4,0-1,15)	2,1	2,8	2,7
პაოკი (საბერძნეთი) — არსენალი (ინგლისი)	(7,5-1,05)	2,8	2,9	2,0
ვიძევი (პოლონეთი) — უდინეზე (იტალია)	(7,5-1,05)	3,2	2,7	1,9
მარიბორი (სლოვენია) — აიაქსი (ჰოლანდია)	(15,0-1,01)	8,0	4,7	1,15
ლიონი (საფრანგეთი) — ბრონდბიუ (დანია)	(1,55-1,9)	1,6	3,0	4,2
მოზირი (ბელარუსი) — დინამო (თბილისი)		ანგარიში — 4,5		
ვალიადოლიდი (ესპანეთი) — სკონტო (ლატვია)	(1,1-5,0)	1,05	6,0	12,0
გიმარაეში (პორტუგალია) — ლაციო (იტალია)	(5,0-1,1)	2,3	2,9	2,3
სტრასბური (საფრანგეთი) — რეინჯერსი (შოტლანდია)	(1,6-1,8)	1,6	3,0	4,2
მტკ (უნგრეთი) — ალანია (რუსეთი)	(4,0-1,15)	2,0	2,8	2,9
შალკე (გერმანია) — ჰაიდუკი (ხორვატია)	(1,2-3,5)	1,25	3,6	7,0
ბასტია (საფრანგეთი) — ბენფიკა (პორტუგალია)	(1,6-1,8)	1,6	3,0	4,2
სიონი (შვეიცარია) — სპარტაკი (რუსეთი)	(2,3-1,4)	1,8	2,8	3,4
ოფი (საბერძნეთი) — ფერენცვაროში (უნგრეთი)	(1,9-1,55)	1,7	2,8	4,0
სამპდორია (იტალია) — ბილბაო (ესპანეთი)	(1,25-3,1)	1,25	3,6	7,0
ბორდო (საფრანგეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი)	(1,55-1,9)	1,6	3,0	4,2
სტიაუა (რუმინეთი) — ფენერბაჩე (თურქეთი)	(1,8-1,6)	1,6	3,0	4,2
როტორი (რუსეთი) — ერებრუ (შვედეთი)	(1,25-3,1)	1,3	3,4	6,5
ჯაზი (ფინეთი) — მიუნხენი (გერმანია)	(15,0-1,01)	8,0	4,7	1,15
ტრაბზონსფორი (თურქეთი) — ბოხუმი (გერმანია)	(3,1-1,25)	2,0	2,9	2,8
კროაცია (ხორვატია) — გრასჰოპერი (შვეიცარია)	(1,3-2,8)	1,3	3,4	6,5
ვიტესი (ჰოლანდია) — ბრაგა (პორტუგალია)	(1,7-1,7)	1,6	3,1	4,0
რაპიდი (ავსტრია) — ჰაპოელი ფ-თ (ისრაელი)	(1,25-3,1)	1,2	4,0	8,0
ინტერი (იტალია) — ქსამაქსი (შვეიცარია)	(1,01-15,0)	1,05	6,0	12,0
სელტიკი (შოტლანდია) — ლივერპული (ინგლისი)	(4,0-1,15)	2,3	2,9	2,3
მუსკრონი (ბელგია) — მეცი (საფრანგეთი)	(5,0-1,1)	2,3	2,9	2,3
ტვენტე (ჰოლანდია) — ლილესტრიომი (ნორვეგია)	(1,2-3,5)	1,2	4,0	8,0
ბეითარი (ისრაელი) — ბრიუგე (ბელგია)	(5,0-1,1)	2,3	2,9	2,3
ატლეტიკო (ესპანეთი) — ლესტერი (ინგლისი)	(1,2-3,5)	1,2	4,2	7,0
ორჰუსი (დანია) — ნანტი (საფრანგეთი)	(4,0-1,15)	2,9	2,8	2,0
კარლსრუე (გერმანია) — ანორთოსისი (კვიპროსი)	(1,01-15,0)	1,05	6,0	12,0

ჩემპიონთა ლიგა. I ტური

17 სექტემბერი

სპარტა (ჩეხეთი) — პარმა (იტალია)		3,2	2,7	1,9
გალათასარაი (თურქეთი) — დორტმუნდი (გერმანია)		2,5	2,8	2,2
კოშიცე (სლოვაკეთი) — მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)		7,0	4,2	1,2
იუვენტუსი (იტალია) — ფეიენოორდი (ჰოლანდია)		1,2	4,0	8,0
ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — დინამო (უკრაინა)		1,5	3,0	5,0
ნიუკასლი (ინგლისი) — ბარსელონა (ესპანეთი)		2,3	2,9	2,3
რეალი (ესპანეთი) — რუსენბორგი (ნორვეგია)		1,1	5,0	10,0
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — პორტუ (პორტუგალია)		2,2	2,8	2,5
ბაიერნი (გერმანია) — ბეშიქთაში (თურქეთი)		1,1	5,0	10,0
პსუ (საფრანგეთი) — გეტებორგი (შვედეთი)		1,4	3,1	5,6
სპორტინგი (პორტუგალია) — მონაკო (საფრანგეთი)		1,7	2,8	4,0
ლევერკუზენი (გერმანია) — ლიერსი (ბელგია)		1,15	4,7	8,0

თასების თასი. 1/16 ფინალი. პირველი მატჩები

18 სექტემბერი

ჭოჩაელისფერი (თურქეთი) — ნაციონალი (რუმინეთი)	(1,7-1,7)	1,6	3,1	4,0
აპოელი (კვიპროსი) — შტურმი (ავსტრია)	(7,5-1,05)	4,0	3,1	1,6
ვესტმანაეარი (ისლანდია) — შტუტგარტი (გერმანია)	(15,0-1,01)	7,0	4,2	1,2
ბოავიშტა (პორტუგალია) — შახტიორი (უკრაინა)	(1,15-4,0)	1,15	4,7	8,0
ეკერენი (ბელგია) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)	(3,1-1,25)	2,0	2,9	2,8
აიკ (შვედეთი) — პრიმორიე (სლოვენია)	(1,15-4,0)	1,2	4,0	8,0
აეკ (საბერძნეთი) — დინაბურგი (ლატვია)	(1,01-15,0)	1,05	6,0	12,0
სლავია (ჩეხეთი) — ლუცერნი (შვეიცარია)	(1,55-1,9)	1,5	3,0	5,0
ჰაპოელი ბ-შ (ისრაელი) — როდა (ჰოლანდია)	(3,5-1,2)	2,2	2,8	2,5
ზაგრები (ხორვატია) — ტრომსო (ნორვეგია)	(1,2-3,5)	1,3	3,4	6,5
კოპენჰაგენი (დანია) — არარატი (სომხეთი)	(1,01-15,0)	1,05	6,0	12,0
ბელშინა (ბელარუსი) — ლოკომოტივი (რუსეთი)	(7,5-1,05)	4,0	3,1	1,6
ჩელსი (ინგლისი) — სლოვანი (სლოვაკეთი)	(1,05-7,5)	1,1	5,0	10,0
ნიცა (საფრანგეთი) — კილმარნოკი (შოტლანდია)	(1,4-2,3)	1,3	3,6	6,0
ბეტისი (ესპანეთი) — ვაშუტაში (უნგრეთი)	(1,01-15,0)	1,05	6,0	12,0
ვიჩენცა (იტალია) — ლეგია (პოლონეთი)	(1,05-7,5)	1,05	6,0	12,0

CROCO-2

ტირაჟი №62	ტირაჟი №63
1. დეპორტივო — ოსერი	1. სპარტა — პარმა
2. გიმარაეში — ლაციო	2. გალათასარაი — დორტმუნდი
3. სტრასბური — რეინჯერსი	3. ეინდჰოვენი — დინამო
4. ბასტია — ბენფიკა	4. ნიუკასლი — ბარსელონა
5. ტრაბზონსფორი — ბოხუმი	5. ოლიმპიაკოსი — პორტუ
6. სელტიკი — ლივერპული	6. სპორტინგი — მონაკო
7. მუსკრონი — მეცი	7. ეკერენი — ცრვენა ზვეზდა
8. ბეითარი — ბრიუგე	8. ჰაპოელი — როდა

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. 7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შეესებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება JACK POT

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

გიორგი ქინქლაძე, ნიკ სამერბი და მამუკა წიკლაური

წიკის დიდი შანსი

სტივ ლილიზი

ბევრმა იქნებ არ იცის, რომ ერთი ხანობა მანჩესტერში გიორგი ქინქლაძესთან ერთად კიდევ ერთი ქართველი სპორტსმენი სახლობდა და საერთაშორისო სპორტში დამკვიდრებას ლამობდა. ქინქლაძესთან ერთად სახლობა პირდაპირი მნიშვნელობითაც შეგიძლიათ გაიგოთ — მოკრივე მამუკა წიკლაური, იქაური ჟურნალისტების მიერ „წიკ"-ად მონათლული, გიორგის მეგობარია და ინგლისში ყოფნისას მის ბინაში ცხოვრობდა. გიოზე გაფაციცებული ინგლისელი ჟურნალისტების თვალს, ცხადია, ეს არ გამოპარვია და გაზეთ „სანდი სპორტში" მამუკას მცირე წერილიც უძღვნეს.

მას მერე, რაც გიორგი ქინქლაძე და ნიკი სამერბი „მანჩესტერ სიტიში" არიან, კრივის დიდი გულშემატკივრები გახდნენ და არცერთ ხვირიან ბრძოლას არ ტოვებენ. ახლა კი გიორგიმ სამშობლოდან თავისი მეგობარი — მამუკა წიკლაური ჩამოიყვანა, რომლის ბრიტანული დებიუტი ოქტომბერში შედგება. წიკლაური იმედოვნებს, რომ დიდ წარმატებას მიაღწევს, რაშიც მას სამერბის მეგობარი — კრივის მწვრთნელი სტივ ფოსტერი დაეხმარება, რომელიც, ბედის ირონიით, „სიტის" მოსისხლე მტრის — „იუნაიტედის" ქომაგია. მამუკა ქინქლაძის სახლში ცხოვრობს და შუადღეობით მეგობარს მიჰყავს სავარჯიშოდ მანქანით.

გიომ განგვიცხადა: „კრივით მას მერე დავინტერესდი, რაც ნიკ სამერბიმ მანჩესტერში ერთ-ერთ ბრძოლაზე წამიყვანა. სწორედ იქ გავიცანი სტივიც. ვიმედოვნებ, რომ მამუკას საქმე კარგად წაუვა, რადგან ინგლისში მოკრივისთვის გაცილებით მეტი შესაძლებლობებია, ვიდრე საქართველოში. როდესაც მამუკას ბრძოლა ექნება, „სიტის" თამაშებზე მეტად ვინერვიულებ, რადგან იგი ჩემი ახლო მეგობარია".

წიკლაურს ხუთი პროფესიული შეხვედრიდან სამი მოუგია, ერთი ფრედ დაუსრულებია და ერთიც წაუგია. ქინქლაძე — მთარგმნელის საშუალებით იგი გვიხსნის, რომ ის წაგება მსაჯის არასწორი გადაწყვეტილების ბრალი იყო და ახლა მოუთმენლად ელის ინგლისში თავის პირველ ბრძოლას. „სტივთან ვარჯიში ჩემთვის ძალზე ბევრის მომცემია, ვხვდები, რომ სწორი გადაწყვეტილება იყო, ვიოს მიწვევა რომ მივიღე".

გამლახველიც გამლახა

WBC-ს ვერსიით საშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონმა, ინგლისელმა რობინ რეიდმა ფრანგ ჰასინ შერიფთან ბრძოლაში ტიტული კი შეინარჩუნა, მაგრამ საშველი თავად შეიქნა. ხუთშაბათს გამართულ მატჩში მსაჯებმა რეიდს მიანიჭეს გამარჯვება, თუმცა ეს ერთხმად არ გადაწყვეტილა. ჩემპიონმა რინგიდან თავისით გასვლა კი მოახერხა, მაგრამ დერეფანში სკამი მოუთხოვია დასასვენებლად. მერე კი, ფეხსაცმლის გახდაშიც რომ შველა დასჭირდა, უანგბადი შეაშველეს და საავადმყოფოში გააქანეს. ექიმების თქმით, ჩემპიონი, უბრალოდ, ზედმეტად გამოიფიტა, რაც დარბაზის სულისშემხუთველი ატმოსფეროსა და ხანგრძლივი ბრძოლის ბრალიაო. პარასკევს იგი სახლში გაუშვეს და ერთი თვით დასვენება ურჩიეს. რეიდმა შერიფის დამარცხებით უკვე მესამედ დაიცვა თავისი ტიტული და ახლა ანგარიშზე 26 მოგება და ერთი ფრე აქვს. 1992 წელს იგი ბარსელონის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორიც იყო.

სლავური ბაზარი

9 სექტემბერს ნჰლ-ს გუნდებმა ტრადიციული საწვრთნელი ბანაკები აამოქმედეს. პირველმა დღეებმა უსენსაციოდ არ ჩაიარა. პიტსბურგის ახალი მთავარი მწვრთნელი კევინ კონსტანტინოვი პირველსავე ვარჯიშზე გაწბილდა — კლუბის მთავარი სნაიპერი და მარიო ლემიეს წასვლის შემდეგ კაპიტნობის მაძიებელი, ჩეხი იარომირ იაგრი შეკრებაზე არ გამოცხადდა. როგორც შემდგომ გაირკვა, იაგრს დამოუკიდებლად ეკარჯიშა — მას თურმე თავისი უკვე მოქმედი კონტრაქტი აღარ აკმაყოფილებს და მის გადასინჯვას ლამობს. ჩეხის ხელფასი ჯერჯერობით 4 მილიონი ამერიკული დოლარია და მადამომატებული ჰოკეისტი სულაც არ აპირებს, ლიგის სხვა სუპერვარსკვლავებს ჩამორჩეს. თუ გავითვალისწინებთ იაგრის გამორჩეულ როლს „პინგვინების" გუნდში, იოლად დავასკვნით, რომ კლუბის მესვეურთ სხვა არაფერი დარჩენიათ, თუ არა თავდამსხმელის პირობებზე დაყაბულება.

იაგრის პარტნიორმა და თანამემამულემ პეტერ ნედვედმა კი უფრო ორიგინალური გზა მოძებნა. მიუხედავად იმისა, რომ კლუბმა მას საკმაოდ სოლიდური კონტრაქტი — 5 წლის განმავლობაში 15 მილიონი დოლარი შესთავაზა, ნედვედი განაწყენდა და მშობლიურ პრაღაში წაბრძანდა. ახლა იგი თავის უმცროს ძმასთან იაროსლავთან ერთად ადგილობრივ „სპარტაში" ჩეხეთის ჩემპიონატისთვის ემზადება. წასვლას თავდამსხმელმა მუქარაც მიაყოლა — ამ სეზონის ჩეხეთში გატარებას ვაპირებ და პიტსბურგზე აღარც კი ვფიქრობო. ერთი სიტყვით, ყველაზე „ჩეხური" კლუბის მთავარმა ჩეხებმა (პიტსბურგში კიდევ სამი ჩეხი თამაშობს) ნამდვილი აჯანყება მოაწყვეს, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, კლუბის თავკაცებმა დაუთმონ გადიდებულებულ იაგრს და მას სასურველი ვარიანტი გამოუძებნონ.

ამასობაში კლუბის ბანაკში არც ანაჰეიმის ლიდერი პოლ კარია გამოცხადდა და, იაგრის არ იყოს, გუნდის ხელმძღვანელებს უკანდასახევი გზა არ დაუტოვა. მით უმეტეს, რომ სეზონის დასაწყისში ანაჰეიმი ვანკუვერს (ლიგის ისტორიაში პირველად ამერიკის გარეთ), იაპონიაში ეთამაშება ორ მატჩს, რომელთა წარმატებას ბევრად განსაზღვრავს მამით იაპონელი კარიას ყოფნა-არყოფნა.

არც დალასია დასვენებული ლიდერების — მაიკ მოდანოსა და დერიან ჰეტჩერის პრეტენზიებისგან, მონრეალელი დამფუსიც ხელფასის მომატებას და თავისი მოქმედი კონტრაქტის განახლებას ითხოვს, თუმცა, ლინდროსის, ჰალისა და იაგრისგან განსხვავებით, თანახმაა, „მხოლოდ" 2 მილიონი მიიღოს.

რაც შეეხება ოტავის ლიდერს, შვედ დანიელ ალფრედსონს, იგი თავისი ხელფასის 8-ჯერ (!) გაზრდას ითხოვს, რაც, კაცმა რომ თქვას, სრულიად სამართლიანია — „სენატორთა" ყველაზე შედეგიან მოთამაშეს ხომ ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ანაზღაურება (350 ათასი) აქვს თავის კლუბში.

სამაგიეროდ, თითქმის დაკომპლექტდნენ რეინჯერზი და ფლორიდა. ნიუიორკელები, როგორც იქნა, შეურიგდნენ კლუბის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს, რუს ალექსი კოვალიოვს და მასთან მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. „რეინჯერებს" იმედი აქვთ, რომ იგი გრეცკისთან ერთად გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალა იქნება, მიუხედავად იმისა, რომ შარშან რუსმა მძიმე ტრავმა მიიღო, 37 მატჩი გამოტოვა და აღსადგენ ვარჯიშს ახლაღა შეუდგა.

ფლორიდამ კი კიდევ ოთხი წლით დაიტოვა წამყვანი თავდამსხმელი სკოტ მელანბი და რეინჯერზში გადასული კაპიტნის — ბრაიან სკრუდლანდის შეცვლაც დაავალა. მელანბი „პანტერების" დაარსებიდან უცვლელად გამოდის კლუბში და 289 თამაშით, 102 გოლითა და 211 ქულით მისი აბსოლუტური რეკორდსმენია.

მოგილნი კვლავ უარს აცხადებს კლუბის ადგილსამყოფელში ჩასვლაზე, ხოლო პაველ ბურე, რომელმაც ორი კვირის წინ ვანკუვერის პრეზიდენტს გაცვლა სთხოვა, სრულიად მოულოდნელად საწვრთნელ ბანაკში გამოცხადდა და პირველივე ვარჯიშიდან კლუბის ახალ ლიდერ მარკ მესიესთან ერთად ერთ სამეულში დაიწყო მზადება. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ბურეს სწორედ მესიემ შეაცვლევინა აზრი. ეს ვარაუდი არცთუ უსაფუძვლოა, მით უმეტეს, რომ ბოლო ინტერვიუებში ახალშეამხანაგებულნი სულ ერთმანეთის ქება-დიდებაში არიან.

სამაგიეროდ, ძალზე გართულდა დეტროიტელი ფიოდოროვის საქმე. ის, რომ ფიოდოროვს კლუბში პრობლემები აქვს, ჯერ კიდევ წინა სეზონში გახდა ნათელი, როცა ბრწყინვალედ მოთამაშე ცენტრფორვარდებმა აიზერმანმა და ლარიონოვმა მას მესამე, მეომარ სამეულში ამოაყოფინეს თავი. ამის შემდეგ რუსი კარგა ხანს ეძებდა პოზიციას — ხან მცველის ადგილზე, ხანაც ფრთაზე გამოდიოდა. მხოლოდ ფლეი ოფში, როცა დეტროიტს სენტ ლუისთან პირველ სერიაში არ გაუმართლა, შეუამხანაგა იგი სკოტ ბოუმენმა თავის ყოფილ მუდმივ პარტნიორებს — კოზლოვს და ბრაუნს. გადამწყვეტ მატჩებში სწორედ ამ სამეულმა ითამაშა ყველაზე ნაყოფიერად, ფიოდოროვი კი კლუბის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. მაგრამ მოვიდა ახალი ხელშეკრულებების გაფორმების დრო და ჰოკეისტის გარჯა, ისევე, როგორც კოზლოვისა, საკადრისად არ დაფასდა. რუსს მოთმინების ფიალა გასულ სამშაბათს აევსო, როცა კლუბის ხელმძღვანელებმა მას ერთ წელიწადში 4,5 მლნ. დოლარი შესთავაზეს. თავდამსხმელმა ეს მასხრად აგდებად და შეურაცხყოფად მიიჩნია და პასუხიც არ დააყოლა — ხუთშაბათს დეტროიტის მესვეურებს გაცვლა მოსთხოვა.

სამგელ ლარიგიანი

უვეიცარიელებმა გაიღაღეს

ესპანეთის ველოტური „ვუელტა“

მე-9 ეტაპი. „სიჩაუქის გამოცდა“. 35 კილომეტრი. კორდოვა

კვირას „ვუელტაზე“ მოეწყო პირველი „სიჩაუქის გამოცდა“, რომელსაც ლიდერთა განლაგებაში ბევრი რამის შეცვლა შეეძლო. ამინდმა ველომრბოლები ვერაფრით გაახარა — საკმაოდ ძლიერი ქარიც ქროდა და ზოგჯერ წამოწინწკლა კიდეც. საერთო ჩათვლაში მანამდე მესამე ადგილზე მყოფი შვეიცარიელი ალექს ცულე „სიჩაუქის გამოცდაში“ მსოფლიოს ჩემპიონია, ამიტომ ყვითელი მაისურის მფლობელმა მისმა თვისტომმა ლორან დიუფომ გამარჯვება მას უწინასწარმეტყველა, თან, ორ წუთზე ნაკლებს თუ წაგებენ მასთან, ჩემთვის ესაც კარგი იქნებაო, დაამატა. მაგრამ ეტაპზე თავიდანვე ცულეს თანაგუნდელი „რნსედან“ — ესპანელი მელხორ მაური, „ვუელტას“ 1991 წლის ჩემპიონი დაწინაურდა. იგი ზედიზედ აუმჯობესებდა ყველა დაწინაურებულის შედეგებს, საშუალოდ თითჭის 51 კილომეტრ-საათი სიჩქარე განვითარა, ტრასა 41 წუთსა და 11 წამში განვლო და მეორე ადგილზე გასულ უკრაინელ სერგეი გონჩარს 21 წამი მოუგო. ცულე გამარჯვებულს 38 წამით ჩამორჩა, თუმცა, თავისი გუნდის გასახარად, ყვითელი მაისურის მფლობელი მაინც შეიქნა, რაკიღა დიუფოს გვარიანად გაუსწრო. წლეანდელ „ვუელტას“ ცულე მოუმზადებელი შეხვდა, რადგან ლავიწის ძვლის გატეხვის გამო ივლისის შემდეგ სულ ხუთი დღე იასპარეზა, ამიტომაც ეტაპის შემდეგ განაცხადა, ტურის დაწყების წინ ვერც კი ვიოცნებებდი, თუ ყვითელ მაისურს მოვიგებდიო: „დღევანდელი რბოლით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ საუკეთესო ფორმას ჯერჯერობით მაინც ვერ მივაღწიე. თანაც ქარმა

ალექს ცულე

და წვიმამ შემაბრკოლა, მოსახვევებში არ ვრისკავდი, რადგან ტრასა სველი იყო“. რისკიანებს კი შამპანურის დასალევად არ ეცალათ. პირველ ადგილს გამოდევნებული ესპანელი ფერნანდო ესკარტინი, მასპინძელთა მთავარი იმედი აბრაჰამ ოლანოს მიერ რბოლის მიტოვების შემდეგ, წლევანდელ „ვუელტაზე“ დაშავებულ-დაზარალებულთა მრავალრიცხოვან რაზმს შეუერთდა. ერთ-ერთ სველ მოსახვევში მან თავი ვერ შეიკავა, მთელი სიჩქარით მოსრიალდა და მუხლიც დაიზიანა. ესკარტინმა რბოლის დასრულება მხოლოდ ახალი ველოსიპედითაა მოახერხა, რამაც ძვირფასი წუთები და ამასთან საერთო ჩათვლაში მეორე ადგილიც დაკარგვინა.

მე-9 ეტაპი: 1. მელხორ მაური (ესპანეთი) — 41,11; 2. სერგეი გონჩარი (უკრაინა) +21; 3. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) +22; 4. ალექს ცულე +38; 5. მიქელ ზარაბე... +49; ... 8. კლაუს მიოლერი (დანია) +1,16; ... 12. ლორან დიუფო +1,24; ... 33. ფერნანდო ესკარტინი +2,53

საერთო ჩათვლა: 1. ალექს ცულე — 38.42,10; 2. ლორან დიუფო +32; 3. ფერნანდო ესკარტინი +2,14; 4. კლაუს მიოლერი +2,40; 5. ივონ ლედანუა (საფრანგეთი) +3,15; 6. დანიელ კლავერო (ესპანეთი) +3,50 ... 13. მელხორ მაური +6,03; 15. ლორან ჟალაბერი +7,01

ლევან ჩხეიძე

ულრიხი სეზონს ამთავრებს

„ვუელტას“ მონაწილეებს წინ კიდევ ორი მძიმე სამუშაო კვირა ელით, „ტურ დე ფრანსის“ წლევანდელმა გამარჯვებულმა, გერმანელმა იან ულრიხმა კი სეზონის ბოლომდე დასვენება გადაწყვიტა. კვირას გერმანიის ქალაქ კარლსრუეში ულრიხის წლეულს ბოლო გამოსვლას 150 ათასი მაყურებელი დაესწრო. „ტურ დე ფრანსის“ ჩემპიონი თანაგუნდელ როლფ ალდაგთან ერთად 84 კილომეტრი სიგრძის გუნდურ „სიჩაუქის გამოცდაში“ ასპარეზობდა. ულრიხმა თავისიანები გამარჯვებით ვერ გაახარა: პირველ ადგილზე ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი, ბელგიელი იოჰან მუზე�ი და შვეიცარიელი ოსკარ კამენზინდი გავიდნენ, მეორეზე კი ფრანგი ედი სენერი და იტალიელი ანდრეა პერონი. „შეუძლებელია, ყველაფერში გაიმარჯვო. ბოლო ხანები ძალზე გამომფიტავი იყო“ — განაცხადა მესამე ადგილზე გასულმა ულრიხმა, რომელიც ტურზე ტრიუმფის მერე გერმანიაში სხვადასხვა რბოლებსა და საჩვენებელ გამოსვლებში მონაწილეობით გადაუღლიათ. იგი მომავალ თვეში სან სებასტიანოს საგზატკეცილო მსოფლიოს ჩემპიონატსაც გამოტოვებს და ვარჯიშს მხოლოდ ოქტომბერში შეუდგება მერდინგენში, თავისი მშობლიურ ქალაქთან ახლოს.

რა მოხდება ტალინში?

გუშინ დილით ტალინს გაფრინდა საქართველოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი რუსთაველი „აზოტი“, რომელიც ხვალ, 17 სექტემბერს საპასუხო მატჩს გამართავს ადგილობრივ „ესტონიან ფაიერსთან“ რადივოე კორაჩის თასზე. შეგახსენებთ, რომ 11 სექტემბრის პირველი მატჩი თბილისში რუსთაველებმა ექვსი ქულის სხვაობით მოიგეს 81:75.

მეფესაც იჭერენ?

ნაცნობი პრობლემა

„სლალომის მეფეს“, იტალიელ ალბერტო ტომბას პოლიციასთან პრობლემები შექმნია. იტალიელი კანონის დამცველები ამ დღეებში მას გადასახადების გადაუხდელობასთან დაკავშირებით დაკითხვას უპირებენ. იგივე მოელით მამამისს ფრანკოს და ყოფილ მენეჯერს პაოლო კომელინის. იტალიის საფინანსო პოლიცია ცდილობს დაადგინოს, ხომ არ უცულლუტია ტომბას და 1989 წლიდან 1995-მდე თუ იხდიდა კეთილსინდისიერად შემოსავალზე დაკანონებულ გადასახადს. ივნისში ტომბას მშობლების სახლი გაუჩხრეკიათ ბოლონიაში, მოგვიანებით კი იგივე ბედი ეწია ფრანკო ტომბას ფირმის ოფისებს. ალბერტო, რომელიც უამრავ უმაღლეს წოდებასა და ჯილდოს ფლობს სლალომსა და გიგანტურ სლალომში, დიდი ქონების პატრონი გახდა და...ყოფილ კოლეგებთან საერთო ენა დაკარგა — ადრე ხომ თავადაც პოლიციელი გახლდათ.

ჯეელოგა გაიმარჯვა

ჰარტგა მოცურავეებმა ახალი ორდანიშვილმა და დავით გაჩეჩილაძემ ახალგაზრდობა გაიხსენეს და ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში ვეტერან მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატში სინჯეს ძალა. ტურნირში 40 ქვეყნის 3000-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. ქართველმა მოცურავეებმა ასეთ შეჯიბრებაში პირველად იასპარეზეს და წარმატებასაც მიაღწიეს. იორდანიშვილმა 800 მეტრ დისტანციაზე თავისუფალი სტილით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, გაჩეჩილაძემ კი 50 მეტრზე ისახელა თავი — ასევე თავისუფალი სტილით ცურვაში მესამე იყო.

ძველ მოცურავეთა ეს შეჯიბრი ორ წელიწადში ერთხელ იმართება. გაისად ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში კი, შესაძლოა, ვეტერან მოცურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატიც ჩატარდეს.

დღესდღეობით უფულობა აღარავის უკვირს. გამონაკლისი არც საქართველოს საწყლისნო სახეობათა ფედერაციაა. იორდანიშვილი და გაჩეჩილაძეც საკუთარი ხარჯებით გაემგზავრნენ პრაღაში. ამაში უჩვეულო არაფერია — ვეტერან სპორტსმენთა ევროპის ჩემპიონატებზე გაგზავნა ხომ ჯერჯერობით საქართველოს ნებისმიერი სპორტული ფედერაციისთვის დიდი ფუფუნებაა.

მომავალში ფედერაცია ვეტერან სპორტსმენებს ხელშეწყობას ჰპირდება და საამისოდ „ლაგუნა-ვერეს“ ბაზაზე ვეტერან წყალბურთელთა კლუბის ჩამოყალიბებას აპირებს. ასე რომ, საწყლისნო სახეობათა ერთგული მიმდევრები კვლავ ჯეელებად იგრძნობენ თავს.

ნაზი მაისაშვილი

ესპანელთა დუელი

ბორნმუტი. ინგლისი. სამუნგის ღია პირველობა. ტარდება თიხნარზე. საპრიზო ფონდი 375 ათასი დოლარი

მეოთხედფინალები: ფელიქს მანტია (2 ესპანეთი) — კრისტოფ ვან გარსი (ბელგია) 6:3, 7:6 (7:4); გრეგ რუზეტკი (3 ინგლისი) — ლუკას არნოლდი (არგენტინა) 7:6 (7:3), 6:3; მარკოს ონდრუშკა (სამხრეთ აფრიკა) — ხაკობო დიასი (ესპანეთი) 7:5, 6:3; კარლოს მოია (1 ესპანეთი) — დავიდე სკალა (იტალია) 6:3, 6:4

კაცების საკლასიფიკაციო ქულების დათვლა-შეჯამება დიდი გაუკვირვარი რამ არის. პარასკევს, რუზეტკი-არნოლდის მატჩის წინ, აღმოჩნდა, რომ ინგლისელს, რომელსაც მანამ მე-11 ადგილი ეჭირა, მეოთხედფინალში ხელიც რომ არ გაექანებინა, მაინც პირველი ბრიტი გახდებოდა, ვინაც საუკეთესოთა ათეულში შეაღწია. თურმე შარშან ამ დროს ბოგოტაში ტურნირი ავსტრიელ ტომას მუსტერს მოუგია. წლეულს ეს შეჯიბრი ოქტომბრის ბოლოს გაიმართება, ამიტომ მაშინ მოპოვებული ქულები მუსტერს ჩამოართვეს და ათეულიდანაც მიაბრძანეს. აქამდე ინგლისელთა შორის საუკეთესოდ როჯერ ტეილორი ითვლებოდა, რომელსაც 1973 წლის სექტემბერში მე-11 ადგილამდე აუღწევია. რუზეტკისთვის მეოთხედფინალამდე არაფერი უთქვამთ, ალბათ, მომეტებულმა სიხარულმა არ ავნოსო, მხოლოდ მატჩის მერე გაახარეს და მანაც შეიფერა — ამ ორშაბათს არა და, ორ-სამ კვირაში დაწინაურებას მეც ველოდიო. თავად მეოთხედფინალში კი დიდი პრობლემები არ შექმნია, მიუხედავად იმისა, რომ პირველი სეტი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. საქმე ისაა, რომ ამ ბოლო ხანებში რუზეტკი ტაი-ბრეიკების 90 პროცენტს იგებს. ახლაც ასე მოხდა, გადამწყვეტ გეიმში 3:7 დამარცხების მერე არგენტინელი გატყდა, მეორე სეტში თავისი მოწოდება და მასთან ერთად მთელი მატჩიც წააგო. ყველა დანარჩენმა ნახევარფინალისტმაც ორ სეტში გაიმარჯვა და მხოლოდ მეორედ განთესილ ფელიქს მანტიას დასჭირდა ტაი-ბრეიკამდე საქმის მიყვანა. ამან სრულიად უცნობ ბელგიელ კრისტოფ ვან გარსს მოუგო — 6:3, 7:6.

ნახევარფინალები: მოია — რუზეტკი 6:2, 6:2; მანტია — ონდრუშკა 6:7, 6:1, 6:1.

მოია — რუზეტკის ნახევარფინალის წინ კი აღმოჩნდა, რომ აქ გამარჯვება ინგლისელს უკვე ნამეტნავად მაღლა — მე-6 ადგილზე აღაზევებდა, მაგრამ წინა დღის სასხარულო ამბის ბრალი თუ იყო, რომ რუზეტკი თავს აღარ ჰგავდა. კორტზე მხოლოდ ესპანელი ჩანდა, რომელიც დაუღალავად დარბოდა კორტის ერთი ბოლოდან მეორეში, მეტოქის მძლავრ მოწოდებას არანაკლებ მიღებით პასუხობდა და უკანა ხაზიდან პრაქტიკულად არ ცდებოდა. მოიამ თავიდანვე დათრგუნა მოწინააღმდეგე, როდესაც მას მთავარი იარაღი — მოწოდება ზედიზედ ორჯერ აართვა და მთელი ხელი 22 წუთში დაამთავრა. მეორე სეტში რუზეტკიმ წინააღმდეგობის გაწევის უნარი საერთოდ დაჰკარგა და მეტოქეს 4:0 დაწინაურების უფლება მისცა, მაგრამ თანამემამულეთა თვალწინ მთლად შერცხვენისა მაინც მოერიდა და ორი სპეციალური მოწოდება რის ვაი-ვაგლახით მაინც შეინარჩუნა — 2:6, 2:6. მეორე ნახევარფინალშიც ესპანელმა იმარჯვა: ფელიქს მანტიამ ტურნირს შემორჩენილ ერთადერთ განუთესავ ჩოგბურთელთან — სამხრეთ აფრიკელ მარკოს ონდრუშკასთან პირველი ხელი კი წააგო ტაი-ბრეიკზე, მაგრამ თავხედ მეტოქეს მერე საკუთარი ადგილი მიუჩინა და ზედიზედ ორ სეტში 6:1 გაანადგურა.

ფინალი: მანტია — მოია 6:2, 6:2

ფინალში ერთმანეთს კარგა ხნის მეგობრები, ორი ბარსელონელი — მანტია და მოია შეხვდნენ. მოია ესპანელი კია, მაგრამ, თანამემამულეთაგან განსხვავებით, თავის უდიდეს წარმატებებს სწრაფ კორტებზე მიაღწია — წლეულს ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში საბრასთან დამარცხდა, ორიოდე კვირის წინ კი ჰარდზე მორიგი ტურნირი მოიგო. ფელიქს მანტია კი თიხნარზე ასპარეზობის ოსტატია. ბორნმუტამდე წლეულს მან ოთხ შეჯიბრში იმარჯვა — ბოლონიაში, გშტაადში, უმაგში (ხორვატია) და სან მარინოში, ყველგან თიხნარზე და მეტოქის მაღალი საკლასიფიკაციო ადგილის მიუხედავად (მოია მსოფლიოს მე-5 ჩოგანია), ფავორიტადაც სწორედ ის ითვლებოდა. მანტიამ თამაში შესანიშნავად დაიწყო — მეტოქეს მაშინვე მოწოდება წაართვა. ამას მოჰყვა მატჩში ყველაზე დაძაბული მეორე გეიმი, რომელიც 12 წუთს გრძელდებოდა. მოიას რამდენიმე ბრეიკ-პოინტისა და უამრავი თანაბრობის შემდეგ მანტიამ მაინც შეინარჩუნა მოწოდება, მოწინააღმდეგეს კი თითქოს თამაშის ხალისი დაუკარგა — პირველი სეტი სულ 35 წუთს გრძელდებოდა. მეორე ხელში, რაკიღა უკანა ხაზზე თამაშით ვერაფერს გახდა, მოიამ ბადესთან სირბილს მოუხშირა, მაგრამ ჩიტი ვერც აქ დაიჭირა, ზედიზედ ხუთი გეიმიც წააგო და პოლოს კორტზე მოვალეობის მოხდის მიზნითღა დარბოდა. გამარჯვებულს 54 ათასი დოლარი ერგო, თუმცა ამ მოგებით, რუზეტკისგან განსხვავებით, მანტიამ ვერ იხერა კლასიფიკაციაში კვლავ მე-14 ადგილს შერჩა.

ტაშკენტი. უზბეკეთი. „პრეზიდენტის თასი“. ტარდება ჰარდზე. საპრიზო ფონდი 405 ათასი დოლარი

მეოთხედფინალები: ევგენი კაფელნიკოვი (1 რუსეთი) — ანდრეი სტოლიაროვი (რუსეთი) 6:4, 6:4; მარკ როსე (3 შვეიცარია) — ჰიშამ არაზი (5 მაროკო) 6:2, 6:4; ფრანსისკო კლავეტი (6 ესპანეთი) — ხავიერ სანჩესი (4 ესპანეთი) 6:1, 6:2; ტიმ ჰენმანი (2 ინგლისი) — ვინს სპედა (8 აშშ) 6:3, 6:4.

ნახევარფინალები: როსე — კაფელნიკოვი 3:6, 7:6 (7:5), 6:2; ჰენმანი — კლავეტი 6:3, 7:5.

კაფელნიკოვი ტურნირის მთავარ ფავორიტად კი ითვლებოდა, მაგრამ როსესთან შეხვედრას ნამდვილად უფრთხოდა. პირად შეხვედრებში შვეიცარიელი 6:1 იყო წინ, რაც მას დიდ ფსიქოლოგიურ უპირატესობას ანიჭებდა, კაფელნიკოვი კი მებრძოლი ხასიათით ნამდვილად არ გამოირჩევა. რუსმა მატჩი მაინც კარგად დაიწყო, მეტოქეს ერთი მოწოდება წაართვა და პირველი ხელი სწრაფად მოიგო. მეორე სეტში წითური შვეიცარიელი



კაფელნიკოვს აწუხებინეს

ახმახი მაგრად დადგა და საქმე ტაი-ბრეიკმა გადაწყვიტა. ამ უმნიშვნელოვანეს მომენტში, როგორც მოსალოდნელი იყო, ჟენიას ნერვებმა უმტყუნა, რამდენიმე შეცდომა დაუშვა, ცოტათი როსეს მძლავრმა მოწოდებებმაც იმოქმედა და რუსიც გატყდა. მესამე ხელში იგი განწირულივით თამაშობდა, ორი საკუთარი მოწოდება დაკარგა და გამარჯვებაც მეტოქეს გადაულოცა — 6:3, 6:7, 2:6. მეორედ განთესილმა ჰენმანმა ნახევარფინალურ მატჩში სულ ორი ბრეიკი გაახერხა, ერთი — პირველ ხელში, ერთიც — მეორეში და გამარჯვებისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რაკიღა კლავეტი სწრაფ საფარზე მაინცდამაინც ვერ ბრწყინავს და მეტოქის მოწოდებასთან გამკლავება ვერაფრით მოახერხა.

ფინალი: ჰენმანი — როსე 7:6 (7:2), 6:4

ეს მეტოქეები წლეულს სხვა ფინალშიც შეხვედრიან ერთმანეთს — თებერვალში ანტვერპენში, ევროგაერთიანების თასზე როსემ იმარჯვა. ახლა კი ინგლისელმა რევანშის აღება მოახერხა.

მატჩი ჰენმანისთვის საკმაოდ უიღბლოდ დაიწყო, პირველივე გეიმში მან მოწოდება დაკარგა, მაგრამ ნომერ მეორე ბრიტს ყურები არ ჩამოუყრია, შვეიცარიელს ვალი მალევე დაუბრუნა, პირველი სეტის ტაი-ბრეიკზე კი ბადესთან ბრწყინვალე ქულები მოიპოვა და პირველი სეტიც თავის სასარგებლოდ დაამთავრა. როსეს ამის მერე მოწოდება მოეშალა და მეტოქეს მეხუთე გეიმში ბრეიკიც გაახერხებინა. ჰენმანმა მოპოვებული მცირე უპირატესობა ბოლომდე არ გაუშვა ხელიდან და საათსა და 24 წუთში 7:6, 6:4 მოიგო. გამარჯვებულმა ოფლისღვრის სანაცვლოდ 58 000 დოლარი მიიღო, დამარცხებულმა — 34 ათასი. მთავარი პრიზი ჰენმანს თვით უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ ქარიმოვმა გადასცა. მანამდე მისთვის რუზეტკის ათეულში მოხვედრის ამბავიც უთქვამთ. თიმმა თანამემამულე ძალზე შეაქო — ეს მან დაიმსახურაო — თქვა, თან ისიც დამატა, კარგია, საუკეთესოთა ოცეულში ორი ინგლისელი რომ ვართ, მაგრამ ამ თანამიმდევრობაზე ყაბულს არა ვარ და გრეგის გასწრებაზე უარს არ ვიტყოდი.

მარბელა. ესპანეთი. „მარბელა ოუფენ“. ტარდება თიხნარზე. საპრიზო ფონდი 328 ათასი დოლარი.

მეოთხედფინალები: ალბერტ კოსტა (1 ესპანეთი) — ანდრეა გაუდენციი (იტალია) 7:6 (7:4), 6:3; გალო ბლანკო (6 ესპანეთი) — ფრანსისკო როიგი (ესპანეთი) 7:6 (8:6), 6:3; დომინიკ ჰრბატი (4 სლოვაკეთი) — ქარიმ ალამი (5 მაროკო) 6:3, 7:5; ალბერტო ბარასატეგი (2 ესპანეთი) — ხულიან ალონსო (ესპანეთი) 6:1, 6:4.

ნახევარფინალები: კოსტა — ბლანკო 7:5, 6:2; ბარასატეგი — ჰრბატი 6:4, 6:4.

ფინალი: კოსტა — ბარასატეგი 6:3, 6:2.

მარბელაში ყველაფერი დიდი მოულოდნელობების გარეშე წესისა და რიგის მიხედვით წარმართა და ფინალში განთესილთაგან პირველი და მეორე შეხვდნენ ერთმანეთს. ამ შეხვედრაში მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბექჰენდის პატრონი კოსტა ერთი თავით მაღლა იდგა მეტოქეზე და ტრიბუნებზე შეყრილ მცირერიცხოვან მაყურებელს ჩოგბურთით ხანგრძლივი სიამოვნების საშუალება არ მისცა, მთელი მატჩი 53 წუთში მოიგო, 43 ათასი დოლარი ჩაიჯიბა და კარიერაში მე-6 ტიტულიც მითვალა.

ამთანდილ სვანიძე

250 ათასიც კაი ფულია!

ნახევარი წელი გატანა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის „გრან პრის“ გათამაშებამ. საგანგებოდ პატივდებული ტურნირების მონაწილეებს იქ დაკავებული ადგილებისა და რეკორდების დამყარების კვალად ქულებიც ერიცხებოდათ. სეზონის ბოლოს მონაგარი რომ დაჯამდა, თითოეულ სახეობაში აირჩა ის რვა ბედნიერი, ვითაც „გრან პრის“ ფინალში ახპარეზობის უფლება და გვარიანი პრიზების მოხვეჭის შანსი ხვდა წილად.

იააფ-ის გრან-პრი

სეზონის 17 სტარტის ჯამი

ვაჟები: 1. ვილსონ კიპკეტერი (დანია; 800) 114 ქულა; 2. ლარს რიდელი (გერმანია, ბადრო) 99; 3. მარკ კრიერი (აშშ, 110 თარჯ) 95; 4. ჰიშამ ელგერუეი (მაროკო, 1500-მილი) 93; 5. მოუზეს კიპტანეი (კენია, 3000 ნინალ) 88; 6. დანიელ კომენი (კენია, 5000) 86; 7. იან ჟელეზნი (ჩეხეთი, შუბი) და ჯეიმზ ბექფორდი (იამაიკა, სიგრძე) 85

ქალები: 1. ასტრიდ კუმბერნუსი (გერმანია, ბირთვი) 99 ქულა; 2. დიონ ჰემინგზი (იამაიკა, 400 თარჯ) 93; 3. ქიმ ბათენი (აშშ, 400 თარჯ) 91; 4. ინგა ბაბაკოვა (უკრაინა, სიმაღლე) 90; 5. შარკა კასპარკოვა (ჩეხეთი, სამხტომი) 87; 6. ანია პანსენი (ბრიტანეთი, სამხტომი) და ანა-ფიდელია კიროტი (კუბა, 800) 79; 8. მარია მუტოლა (მოზამბიკი, 800) 73

ფინალს პირველად უმასპინძლა აზიამ — იაპონიის სამხრეთ კუნძულ კიუშიუს მზარდმა ფინანსურმა და ბიზნეს ცენტრმა ფუკუოკამ. შეჯიბრი შაბათს გაიმართა ჰაკატანომორის სტადიონზე და თუმც ქალაქს ქარიშხალი „ოლივა“ მიუახლოვდა, ამან დიდად ვერც 30 ათასი ქომაგი და ვერც 21 მსოფლიო ჩემპიონი შეაშინა.

ამ დღეს იააფ-მა მარტო ფულად 3 მილიონი დოლარი დაარიგა. ჭეკოტი 350 ათასი იყო. მის მოსახვეჭად უნდა მოგებო შენი სახეობა (50 ათასი), დაგემყარებინა მსოფლიო რეკორდი (100 ათასი) და სეზონის ანგარიშში შენივე სქესის ყველა მონაწილისთვისაც გეჯობა (200 ათასი).

ამთავითვე ვიტყვით, რომ ამდენი ფული შინ ვერავინ წაიღო, მაგრამ 250 ათასის ვეება, ბუტაფორიული ჩეკები კი მაინც დაიმსახურეს გადანილებულმა კენიელმა ვილსონ კიპკეტერმა, 800 მეტრზე რომ დარბის და გერმანელმა ბირთვის მკვრელმა ქალმა ასტრიდ კუმბერნუსმა (აპ-ის ფოტოზე).

24 წლის ვილსონმა აგვისტოში 12 დღეში ორჯერ გაუმჯობესა ბრიტი სებასტიან ჭოუს ეპოქალური მსოფლიო რეკორდი, მაგრამ ამჯერად ოდენ გამარჯვებითაც მეტისმეტად კმაყოფილი დარჩა. მისი შაბათის შედეგია 1.42,98, რეკორდი კი 1.41,11.

200 ათასი დოლარს კიპკეტერს ეცილებოდა კენიელი სტაიერი დანიელ კომენი, რომელიც ვაუთა ლიდერს ფუკუოკამდე 13 ქულით ჩამორჩებოდა. საქმე ისაა, რომ ფინალში გამარჯვება 27 ქულად ფასობს, მსოფლიო რეკორდის დამყარება კი — კიდევ 18 ქულად.

კომენმა ვერ ივარგა. 5000 მეტრზე სირბილის ბოლოსწინა წრეზე გატყდა და საბოლოოდ V ადგილიღა დაიჭირა (13.17,93). გაიმარჯვა მაროკოელმა ხალიდ ბულამიმ 13.09,40.

წელს თავგამოჩენილმა ვერც სხვა ვარსკვლავებმა გაიმარჯვეს. 1500 მეტრზე და ერთ მილზე მაროკოელ ჰიშამ ელგერუეს წელს ზედიზედ 13 სტარტი მოეგო, მაგრამ ახლა მილის ზედ ფინიშზე ზურგიდან წამოეპარა დანიელი (?!) რობერტ ანდერსენ-კიბლაგატი (4.04,53) და 0,02 წამით აჯობა.

უფრო საგულისხმო ამბები დატრიალდა 3000 მეტრზე წინაღობებით სირბილში. ატლანტის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, კენიელმა ჭოზეფ კეტერმა წელს ეროვნულ პირველობაზე ჩაისვარა და ათენის მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მოხვდა, „გრან-პრის“ ფინალში კი აჯობა თანამემამულეებს — მსოფლიოს ამუამინდელ რეკორდსმენ ბერნარდ ბარმასაის და ყოფილებს — მოუზეს კიპტანუისა და ვილსონ ბოიტ-კიპკიტერს. ამ გარბენის 12 მონაწილიდან ერთბაშად რვა (!) იყო კენიელი.

„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

200 მეტრზე კვლავ გაიმარჯვა ნამიბიელმა ფრანკი ფრედრიქსმა, ვისაც ათენის შემდეგ შეჯიბრი აღარ წაუგია. მისი დროა 19,81.

კიკიტერმა თუმც ძალიან ბევრი ფარა მიითვალა, სახოგადოების ყველაზე მეტი ტაში მაინც დიდმა უკრაინელმა მეჭოკე სერგეი ბუბკამ დაიმსახურა. 33 წლის მსოფლიოს ერთადერთი ექვს-გზის (!) ჩემპიონს ბოლო მსოფლიო რეკორდი — 614 სმ კარგა ხნის წინ — 1994 წლის ივლისში სესტრიერეში (იტალია) დაემყარებინა. ახლა 605 სმ-ით პირველობა რომ დაიბევა, სამჯერ შეუტია 615-ს. მესამე ცდაზე მიზანთან ახლოსაც იყო, მაგრამ მუხთალმა ქარმა დაალატა.

ბოლოს ქალებისაც ვთქვათ. ფინალს თანაბრად — 72 ქულით უწიეს კუმბერნუსმა და დიონ ჰემინგზმა. ასტრიდმა ბირთვი 20,95 მეტრზე კრა, იამაიკელი ოლიმპიური ჩემპიონი კი 400 მეტრზე თარჯრბენში დაამარცხა ამერიკელმა მსოფლიო რეკორდსმენმა ქიმ ბათენმა (53,45 — 53,98). მოკლედ, გერმანელმა ქულებით გაუსწრო კარიბელს და აბსოლუტური გამარჯვებული შეიქნა.

დამარცხდა ბევრად უფრო ცნობილი კარიბელიც — 37 წლის იამაიკელი მერლინ ოთი. მან ერთი კვირით ადრე ტოკიოს „გრან-პრის“ 100 მეტრზე 0,08 წამით აჯობა 21 წლის „ქალთა კარლ ლუისს“, ექს-კალთბურთელ მარიონ ჯოუნსს. ნორჩმა ამჯერად 200 მეტრზე აიღო რევანში (21,84 — 21,92).

რეზო ნემსაძე

რომ აღარ უშლიან, არც თავად იშლიან

შარშანდლისგან განსხვავებით მოძმე ფეხბურთელები მორაგბეებს ვაკის სტადიონზე თამაშს აღარ უშლიან, მაგრამ იქ რაგბი მაინც ისე ვერ იმართება, როგორც ჯერი არს: ხან მოედნის ნახევარი წაშლილი, ხანაც ფეხბურთის კარი არაა მოხსნილი.

თავად რაგბის კარს აღარ იკითხავთ? — ერთს, ჭრელს არა უშავს, მეორე, ჟანგისფერი კი მთლად წამხდარია: ძელები ისე აქვს მიღრეცილ-მოღრეცილი, რომ ძნელი გასწგებია, მსაჯმა როგორი ბურთი უნდა ჩათვალოს გატანილად.

წინათ ვაკეში ასეთები რომ მომხდარიყო, განგაშის ზარს შემოვკრავდით და ქვეყანას შეეყრიდით, დახეთ, რაგბს როგორ გვიჩაგრავენო. ახლა ვითარება სწორედ რომ საპირისპიროა — რაგბი სტადიონზე გაპარპაშებულა და, ღმერთო შეგცოდე, მოძალადეც გამხდარა.

ერთობ გულნატკენია სტადიონის დირექტორი, რაგბის დიდი და ერთგული ქომაგი, ბატონი ბ ი ვ ი ჰ ა ნ ტ უ რ ი ძ ე. ამ ამაგდარმა კაცმა იმდენი იშუამდგომლა რკინიგზის უფროსობასთან, რომ ოვალურ-ბურთა თამაში ბოლოსდაბოლოს შეაწყნარებინა და რაგბისა და ფეხბურთის თანა-არსებობის რეალურობაც დაუმტკიცა, მაგრამ მორაგბეებმა მისი ქომაგობა არასწორად გაიგეს და ახლა როცა ბატონი გივი მოედნის ქირის მრავალზის გადაუხდელობის გამო მოედანზე აღარ უშვებთ, მასზე ძალისძალად იჭრებიან.

სათამაშოდ უნებართვოდ შესვლა რაა, რამდენიმე გუნდი ვაკეში კიდეც ვარჯიშობს. ამათ რიცხვშია ეროვნული ბაკრებიც. ცალკე კლუბებს („ყოჩების“ გარდა) და ცალკე რაგბის კავშირს ვაკის სტადიონისა ოთხნაშნა თანხა (ლარებად!) მართებთ, მაგრამ გადახდაზე მტკიცედ არიან უარს, ესაო და ეს სტადიონი ჩვენ უნდა გვეკუთვნოდესო.

გინდაც ასე იყოს, ქირა — მატჩისთვის 200 ლარი, ხომ მაინც გადასახდელია. თამაშით და მით უმეტეს ვარჯიშებით მოედანი ფუჭდება და მოვლა ჭირია. საამისოდ აუცილებელია წყალი, ტექნიკა და მუშახელი, ეს კი მოგებსენებთ, მუქთი როდია.

ბატონმა გივიმ მორაგბეებს რომ ვერაფერი შეასმინა, ის ჭრელი და ჟანგისფერი კარები გადაუმალა, ეგების ცოტა მაინც დანმუსდნენო. თქვენც არ მომიკვდეთ — ოვალური ბურთის ქართველი ოსტატები საიუბილეო შვიდაკაცას დილით მაინც მიბრძანდნენ ვაკეში, ბატონ გივის ცნობით, საწყობი გატეხეს; თავიანთი კარები დასესეს, ფეხბურთისა, რა თქმა უნდა, სიზარმაცით არ მოხსნეს და ბურთაობა გამართეს, ხოლო დირექტორს ისევ აუბზუეს ცხვირი.

ბატონ გივისაც გასაკეთებელი რა დარჩა: დღეს რკინიგზის ხელმძღვანელობას წარუდგენს მოხსენებით ბარათს. ჰოდა, ვაკეში რაგბის ყოფნა-არყოფნა ისევ სათუო გახდება.

ზაზა ფხაკაძე

X ვაკის შვიდკაცა

ერეკლე 4 ვანდერერი

მსაჯები: რამაზ სანებლიძე და მალხაზ ჭელიშვილი

ა ჯგუფი. ყოჩები — უნივერსიტეტი 45:7; ყოჩები — ასკ 10:7; უნივერსიტეტი — ასკ 7:0; ქორები არ გამოცხადდნენ. მონაგარი: ყოჩები (4 ქულა), უნივერსიტეტი (2), ასკ (0)

ბ ჯგუფი. რუსთავის აზოტი — უნივერსიტეტი II 21:0, გუმარი — შევარდენი 35:0; შევარდენი — უნივერსიტეტი II 7:5, გუმარი — აზოტი 21:7; გუმარი — უნივერსიტეტი II 34:17, აზოტი — შევარდენი 31:7. მონაგარი: გუმარი (6), აზოტი (4), შევარდენი (2), უნივერსიტეტი II (0)

პლეი-ოფი. V ადგილისთვის შევარდენს უთამაშებლად დანებდა ასკ

III ადგილისთვის. აზოტი — უნივერსიტეტი 35:19 (ნლ-ვლ)

I ადგილისთვის

ყოჩები — გუმარი 24:19

(დამატებით დროში; 19:19; 7:7). მსაჯი (დრო): სანებლიძე (13 + 14 წუთი)

ყოჩები: ურუშაძე, გიორხელიძე, კობახიძე; ბარძიმიშვილი, პეტრიაშვილი, საკანდელიძე, ხეხელაშვილი (ხელაძე, 25)

გუმარი: ობოლაძე, მჭედლიშვილი, პარნიკანაშვილი (სორდია, 18); მოდებაძე, მაითიაშელი (ხურციძე 19), მაისურაძე, ურჯუკაშვილი

0:7 (5; ურჯუკაშვილი ლ, მოდებაძე ბ); 7:7 (11; საკანდელიძე ლ, კობახიძე ბ); 12:7 (15; პეტრიაშვილი ლ); 19:7 (17; კობახიძე ლ და ბ); 19:14 (18; ურჯუკაშვილი ლ, მოდებაძე ბ); 19:19 (21; მოდებაძე ლ); 24:19 (30; საკანდელიძე ლ)

საბოლოო კლასიფიკაცია: 1. ყოჩები; 2. გუმარი; 3. აზოტი; 4. უნივერსიტეტი; 5. შევარდენი; 6. ასკ; 7. უნივერსიტეტი II

მსოფლიო პირველობის XIII ეტაპი

კატალონიის დიდი პრიზი

12-14. 09. ბარსელონა. მონტმელო

125 კუბ. სმ

22 ნრე; 103,994 კმ: 1. ვალენტინო როსი (იტალია, აპრილია) 42 წუთი. 14,687 წამი (საშუალო სიჩქარე 147,702 კმ-სთ); 2. კაზუტო საკატა (იაპონია, აპრილია) 42.20,689; 3. ნობორუ უედა (იაპონია, პონდა) 42.24,214; 4. მირკო ჯანსანტი (იტალია, პონდა) 42.25,872; 5. ტომომი მანაკო (იაპონია, პონდა) 42.25,883. უსწრაფესი წრე: საკატა 1.53,476 (149,962 კმ-სთ)

საჩემპიონატო მონაგარი. პირადი: როსი 286 ქულა; უედა 200; მანაკო 163; საკატა 139. გუნდური: აპრილია 306; პონდა 249; იამაპა 126

250 კუბ. სმ

23 ნრე; 108,721 კმ: 1. რალფ ვალდმანი (გერმანია, პონდა) 42.05,928 (154,951 კმ-სთ); 2. მაკს ბიაჯი (იტალია, პონდა) 42.06,478; 3. ტოპრუ უკავა (იაპონია, პონდა) 42.08,868; 4. ტეცუია პარადა (იაპონია, აპრილია) 42.08,888; 5. ლორის კაპიროსი (იტალია, აპრილია) 42.19,688; 6. ოლივიე უაკი (საფრანგეთი, პონდა) 42.30,093. უსწრაფესი: ვალდმანი 1.48,681 (156,579 კმ-სთ)

პირადი: ვალდმანი 214; პარადა 211; ბიაჯი 205; უაკი 169; უკავა 145. გუნდური: პონდა 310; აპრილია 244

500 კუბ. სმ

25 ნრე; 157,791 კმ: 1. მაიქლ დუენი (ავსტრალია, პონდა) 44.56,149 (157,791 კმ-სთ); 2. კარლოს ჩეკა (ესპანეთი, პონდა) 44.56,581; 3. ალექს კრივიე (ესპანეთი, პონდა) 44.57,899; 4. ლუკა კადალორა (იტალია, იამაპა) 44.58,941; 5. ნობუაცუ აოკი (იაპონია, პონდა) 45.04,308; 6. ტადიუკი ოკადა (იაპონია, პონდა) 45.20,780; 7. ტაკუმა აოკი (იაპონია, პონდა) 45.20,975; 8. კენი რობერთსი (აშშ, მოდენაზი) 45.37,518; 9. ხუან ბორხა (ესპანეთი, ელფი) 45.37,954; 10. დორიანო რომბონი (იტალია, აპრილია) 45.41,640

სასტარტო განლაგება: დუენი, ჩეკა, ნ. აოკი, რომბონი; ოკადა, კადალორა, კრივიე, რობერთსი. უსწრაფესი: დუენი 1.45,990 (160,554 კმ-სთ)

პირადი: დუენი 320; ნ. აოკი 166; ოკადა 159; კრივიე 131; კადალორა 129. გუნდური: პონდა 325; იამაპა 161; აპრილია და სუძუკი 77; მოდენაზი 59

მიკის მორიგი რეკორდი

32 წლის ავსტრალიელი მაიქლ („მიკი“) დუენი წელს რეკორდს რეკორდზე ამყარებს. ერთი, რომ ზედიზედ მეოთხედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი და ამით ორ ლეგენდარულ მრბოლს — განსვენებულ ბრიტ მაიქლ ჰეილვუდსა და საღსალამათ იტალიელ ჯაკომო აგოსტინის გაუტოლდა. მეორე, სტარტზე ზედიზედ 10-ჯერ დაიკავა მოწინავე პოზიცია — პოული. და მესამეც, ერთ სეზონში ძიიგო 12 დიდი პრიზი, რითაც აგოსტინის 1972 წლისეულ, აქამდე თვალშეუდგამ მიღწევას გადაჭარბა.

ბოლო ორი რეკორდი დუენმა კატალონიის დიდ პრიზზე გაახერხა. ავსტრალიელს კვალიფიკაციაში ვერც პარასკევსა და ვერც შაბათს ჯობდა ვინმე. არადა, მონტმელოს 4 727-მეტრა ტრასა მიკისთვის იღბლიანი არასოდეს ყოფილა — იქ წლევანდლამდე ვერაფრით გაემარჯვა, თუმც კი შარშან მეორე ადგილი რომ დაიჭირა, ვადამდე იმის წყალობით გახდა ჩემპიონი.

მაშინ მიკის მასპინძელმა კარლოს ჩეკამ აჯობა. ის გამარჯვება ესპანელისთვის აქამდე ერთადერთია. წელს კარლოსი მეტწილად უხეიროდ ასპარეზობდა. ახლა საგაისოდ თუღა დაწყობს ფრიად გეგმებს. საამისოდ იგი ბარსელონაში მიკის კვალად დაკავებულმა მეორე ადგილმა და რეგიანად წარმართულმა რბოლამ შეაგულიანა.

დუენმა სტარტი ცუდად აიღო და პირველი წრე V ადგილზე დასრულა. ლიდერობდა ესპანელივე ალექს კრივიე, ვინაც ივნისში ხელის საზარელი ტრავმა კი იწვნია, მაგრამ ორი კვირის წინ ჩეხეთში ასპარეზს დაუბრუნდა და ლამის იყო კვარცხლბეკზეც მოხვდა.

ამჯერად ალექსმა შედეგი კიდევ უფრო გაუმჯობესა. მართალია, VI წრიდან წინ დუენი გავიდა, მაგრამ კრივიემ III პოზიცია ბოლომდე შეინარჩუნა და ოპტიმისტურად შეინაშნა, სულ ცოტა ხნის წინ ჩემი კარიერა დასრულებული მეგონაო.

ჩეკამ დუენს ბოლომდე მიდია. რამდენჯერმე კიდეც გაუსწრო, მაგრამ მცირე ხნით. ჩემპიონმა უპირატესი კლასი ეს უკვე მერამდენედ მაინც დამტკიცა და ახლა საფიქრალი ისღა დარჩენია, 1998 წელს რომელი გუნდის სახელით ირბოლოს.

რაც 500-შია, ღელენი მუდამ „ჰონდას“ ღირსებას იცავს. ამ ქარხნის მანქანით გამართა 119 რბოლა და 46 დიდი პრიზიც მოიზვეჭა, მაგრამ ახლა „იამაპა“ 10 მილიონ დოლარს თავაზობს, „სუძუკი“ კი უფრო მეტს — 12 მილიონს.

დუენს გული გარე-გარე მაინც არ მიუწევს. „იამაჰას“ შეფი — ოთხი წლის წინ იტალიაში დაკუტბული სამგზის ჩემპიონი, მისივე თანამემამულე ვეინ რეინი თუმც მიკის მეგობარია, ოთხგზის ჩემპიონი საქმესა და ძმა-ბიჭობას ერთმანეთში მაინც არა რევს. მოელიან, რომ -კვირის ბოლომდე დუენი „ჰონდასთან“ გაახლებს კონტრაქტს.



დუენის სარეკორდო გამარჯვება და მორიგი დროშიანი წრე!

აპ მონტმელოდან

თენგიზ არტამონოვი

პირველობის შემდეგი, ბოლოსწინა ეტაპი — ინდონეზიის დიდი პრიზი 26-28 სექტემბერს, სენთულში გაიმართება.

მსურველს შევასწავლით
კომპიუტერს
დარეკეთ 23 20 66. იკითხეთ
მარიკო ან ზაზა

125-ში 18 წლის ვადამდელმა ჩემპიონმა <-- როსიმ დიაცის დალალები შეიჭრა, თმები ცისფრად შეიღება, კიდევ გაიმარჯვა და შემდეგ ორ წელს ისევ „აპრილიათი“ ირბოლებს, ოღონდაც 250-ში. ამ კლასში მისმა თანამემამულე ბიაჯმ ბოლო წრეზე მაინც წაგო გერმანელ ვალდმანთან -->, ვინაც ქულებით იაპონელ პარადას გაუსწრო

აპ მონტმელოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინსარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მზეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი,
გიორგი ოჟრომჯედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29